



გაზეთი გაიშალა  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამტრედიის

N3 (9147)

30 იანვარი, 2015 წელი.

ფასი 50 თეთრი



2

მუნიციპალიტეტის  
საკრებულოში  
უტატაპი უმცირდა

2

**სასისარულოა, საკრებულო  
წიგნზე ამდენ ხანს  
რომ უეჩერდა**

3

აღლგუნითი სამუშაოები ქვესაგანში  
“სამტრედიის I”

**აღვიძრევილიან სახაზინო  
სისტემაზე**

**ორის ოც წუთზე თერთმეტს  
ოცი აკლია**

2

აღიქმედლა მცირეპიჭიან ფარმართა  
ხელუეფუობის პროექტი

3



**“მთავარი პრობლემა, რაც მოსახლეობას  
ანუხებს, უმუშევრობაა”**

5

რე სამუშაოები იგეგმება ბეგა-ბეგებში და  
როგორ ხვედებიან სადამბრძელო  
წროტესის განხლებას

6

**სამტრედიის რკინიგზით უნდა  
იწონებდეს თავს**

ნუ გადავქევეთ სამტრედიას ქვის ქადაქა

4

**თავის გამორჩენის მისეული პრინციპი, მისი ნაკეთები საქმე იყო**

**არჩეული მთავრობა დროა, გამოფხივლდეს**



4

**პატარძალს ნოღაში გზა დახვდება  
ქბილი იბიჯოდ გაქვს, ენას უნდა დააჭირო**

ივეჩი ჯედაყიძე და დემუხი მეგენიშვილი  
ბაქოს საერთაშორისო  
ტუხნიხის ჩემპიონები

11

მორეი ზაქარიაძე  
საერთაშორისო  
ტუხნიხის პრიზიორია



# ორის ოც წუთზე თერთმეტს ოცი აკლია



## თმა გაგუნაჟილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში საქმიანი ხმაური იყო და არა მარტო განსახილველ საკითხთა სიმრავლის გამო, მათი შინაარსიდან გამომდინარეც. ვნებათაღელვა, თუმცა მეტ-ნაკლებად მსუბუქი, მაგრამ მაინც თვალში-საცემი გახლდათ. რამდენიმე საკითხზე თანხმობა ადვილად მიიღეს მათ შესახებ მომხსენებლებმა. რუსთაველის ქ. № 95-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე მდებარე შენობა-ნაგებობებით, აგრეთვე, თამარ მეფის ქ. № 52-ში მდებარე მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით, უსასყიდლოდ

სარგებლობაში გადაეცა საფეხბურთო კლუბ “სამტრედიას”. “უეფას” მოთხოვნების თანახმად, კლუბი უნდა ფლობდეს გარკვეულ ქონებას, რომ ჩემპიონთა თასზე თუ სხვა მსგავს თამაშებზე გასვლის ლიცენზია მოიპოვოს. ამიტომ ერთი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი თავისი შენობა-ნაგებობებით, ორი წლით თხოვნების წესით გადაეცეთ. – განმარტა ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძემ. მუხლობრივი ცვლილება შევიდა კავშირი საფეხბურთო კლუბ “სამტრედიას” 2015 წლის პროგრამის განხორციელების ხარჯებში. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, შალვა არზუმანიანის განცხადებით, “მივიღებთ განსაზღვრული თანხა გაი-

მიჯნა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივიღებთ თანხად. ერთობლიობაში იგი 77, 200 ლარს შეადგენდა. ამ ცვლილებით გამიჯნის შედეგად, ქვეყნის შიგნით სამივილინებო თანხა 8364, ქვეყნის გარეთ კი 68840 ლარია. და კიდევ ერთი – ტოლების თემის დეპუტატმა ილია მჭავიამ საფეხბურთო სტადიონზე შესასვლელი საშვის საკითხი დააყენა. ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარემ, ტარიელ დვალისვილიმა კი ძველი დრო გაიხსენა და აღნიშნა, რომ “კახა უჯმაჯურიძეს, ავთო სტურუას, ავთო თაღუმაძეს და ემზარ შუბლაძეს საშვი ნამდვილად არ დაემაღლებათ სტადიონზე შესასვლელად, რადგან ეს გუნდი მათი შენარჩუნებულია”. ჩამოთვლილთაგან სამი საკრებულოს მო-

ქმედი წევრია, ზოგი “ნაციონალი” და ზოგიც ნანაციონალური - სიტყვის უღრავლობა ცოტა უხერხული გამოვიდა. მუხლობრივი ცვლილება შეიტანა სამოქმედო პროგრამაში “სახლი თანადგომამ”. მან წარმოადგინა ყოველკვირეული ნორმა ბენეფიციარებზე გასაცემი პროდუქტისა, რომელშიც გამიჯნულია, ყოველდღიურად რა რაოდენობის პროდუქტი გაიცემა. დოკუმენტაცია აუდიტის მოთხოვნის შედეგად იქნა წარმოდგენილი. გარდა ამისა, მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამი თვით ერთი საშტატო ერთეული დაემატებათ. მისი სახელფასო ანაზღაურება მუხლობრივი განაცხადებით გამოინახა უკვე დამტკიცებულ ბიუჯეტში. შპს სპორტკომპლექს “სამტრედიას” სუბსიდირებაში მუხლობრივი განაცხადები. ხელფასის, შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობის რემონტის, წყლის, გაზის, ელექტროენერჯისთვის, აგრეთვე, მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარისთვის განსაზღვრული თანხების შემცირების ხარჯზე გაიზარდა დეკრეტული შევებულების, ხარჯი 1040, ავეჯის შექმნის 8 ათასი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების 2500, აგრეთვე, სხვა ხარჯები 1500 ლარით. ასევე მცირდება საშტატო განრიგში წამყვანი სპეციალისტის ერთი შტატი. შემცირებული შტატის საფუძველზე სახელფასო თანხა გადანაწილდა დირექტორსა და მთავარ სპეციალისტზე”. – განმარტავს შალვა არზუმანიანი. საკრებულოს წევრმა, იმედა გოგავამ ხაზი გაუსვა, რომ

სასურველი კი არა, აუცილებელია, საკრებულო აუხი “ზამთარშიც დატვირთული იყოს, ეს წლის პროექტი იქნება”. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, კობა ძიძიგურმა ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, “ვმუშაობთ თანხების მოძიებაზე. ამისთვის საჭირო პელო სისტემა საკმაოდ ძვირია. რაც მთავარია, ამ საკითხის მოგვარების სურველი გვაქვს და ალბათ, შედეგსაც მივაღწევთ”. და კიდევ ერთი ცვლილება, რომელსაც საკრებულომ დასტური მისცა, 2015 წლის ბიუჯეტს უკავშირდება. მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის № 39 განკარგულება, რომლის თანახმადაც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს გარკვეული თანხა გამოეყოფა. სამტრედიის მუნიციპალიტეტს 75 ათასი ლარი გამოეყოფა საპროექტო დოკუმენტაციისა და საპროექტო მომსახურების შესყიდვისთვის. მიუხედავად საქმიანი განწყობისა, უფრანლისტებისა და არა მარტო მათი საუბრის ღიმილიანი თემა იმ დღეს საკრებულოს დარბაზის კედელზე მიმაგრებული საათი გახდა, რომელშიც, როგორც ორის ოც წუთზე გავარკვიეთ, უკვე კარგა ხანია, ჯიუტად თერთმეტი საათი სრულდება.

## მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატები უმცირდა

### თმა გაგუნაჟილი

სხდომამდე პირველივე საკითხი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ რომ გამოიტანა, საკრებულოს აპარატში შტატების შემცირებას ეხებოდა. ამიერიდან ნაცვლად 16-სა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო განრიგი 9 შტატით შემოიფარგლება. “ნაციონალური მოძრაობის” წევრის, ზურა ზაქარაიძის წინააღმდეგობა ამან იმთავითვე გამოიწვია. გამგეობის აპარატის ყოფილი უფროსის გამოცდილებიდან, იგი მიიჩნევს, რომ ამ შემადგენლობით მუშაობა გაჭირდება. “საკრებულოს 8 ფრაქცია და 5 კომისია ჰყავს, იგი 30 წევრისგან შედგება. ამდ-

ენ ფრაქციას და კომისიას თითო ადამიანი არ სჭირდება, რომ ოქმები წეროს, ან სხვა სამუშაო შეასრულოს? ჩემი აზრით, მინიმუმ, 12 თანამშრომელია საჭირო. წინა საკრებულოზე შეთანხმებამდეც მივედით, რომ დაემატებოდა რაოდენობას, ამიტომ ჩვენმა ფრაქციამ ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა”. დანარჩენი საკრებულო თვლის, რომ ეს პრობლემა არ გახდება, “მთავარია საქმე არ გაფუჭდეს”. – იმედიანებს იმედა გოგავა. “გასაკეთებელი ასეც გაკეთდება”. – უპასუხა აპარატის ყოფილ უფროსს მანანა სირბილაძემ. განმარტებისთვის კი განაცხადა: “ეს არის ყბადალეული ფორმულის შედეგი 500 ამომრჩეველზე ერთ

მუნიციპალურ თანამშრომელს რომ გულისხმობს. მოხდა ისე, რომ 16-დან 9 შტატი დარჩა. თუ რაიმე შეიცვლება, იქნება რამდენიმე დამატოს, გარდა ამისა, ხელშეკრულებით მხოლოდ ორი თანამშრომლის აფხანა შეგვიძლია, დამლაგებლისა და მძღოლის. სხვა მხრივ ხელშეკრულებებშიც კი შეზღუდვები ვართ”. რაც შეეხება ზაქარაიძის კითხვას, “შეძლებთ?” სირბილაძეს პასუხი მზად აქვს – “შეეძლებთ! ყოველი შემთხვევისთვის, ჯერჯერობით, ვეღვაფერი რიგზეა. ამ შტატებით, ფაქტობრივად, ნოემბრის ბოლოდან ვმუშაობთ. ატესტაციები რომ დაიწყო, ვილაკვები წავიდნენ სახლში. სამუშაო არც საკრებულოში და არც აპარატში ჯერჯერობით არ ჩავარ-



დნილა. ამ გადასახედიდან არ ვსაჭიროებთ შტატების გაზრდას. თუ დაგვჭირდა და, რატომაც არა!” და თუ დასჭირდათ, მსურველი აუცილებლად გამოცდამარბეული და კონკურსგავლილი უნდა მოიძებნოს. ზურაბ ზაქარაიძეს კი საკრებულოს იმ სხდომამზე ტაში დაუკრეს, თუმცა,

არა როგორც ყოფილ აპარატის უფროსს ან საკრებულოს წევრს, არამედ როგორც გიორგი ზაქარაიძის მამას, რომელიც ყაზახეთში გამართულ მსოფლიოს შესარჩევ აკლასის ტურნირზე, პრეზიდენტის თასზე, ჭიდაობა-სამბოში მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა.

## აღლავებითი სამუშაოები ქვესაღვანში “სამტრედია 1”

24 იანვარს ღამის 11 საათზე სს “ენერგო-პრო ჯორჯიას” მაღალი ძაბვის ქვესადგურის “სამტრედია 1” 6 კილოვატი გამანაწილებელი მოწყობილობების შენობის სახურავს ხანძარი გაუჩნდა. მორიგე პერსონალისა და სახანძრო სამსახურის ოპერატიული რეაგირებით ხანძრის ლოკალიზება დროულად მოხერხდა, რის შედეგადაც ელექტროდანადგარები არ დაზიანებულა. ხანძრის გამოშვები მიზეზების დასადგენად შექმნილია შესაბამისი კომისია. 25 იანვარს მოეწყო დროებითი გადახურვა, რათა ქვესადგურის მომხმარებლების ენერგომომარაგება არ შეფერხებულიყო. მიმდინარე კვირაშივე დაიწყო გადახურვის სარეაბილიტაციო კაპიტალური სამუშაოები. იგი 10 თებერვლამდე გასტანს. სამუშაოების წარმოების პროცესში, უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით, დროებით ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყდება ქვესადგურ “სამტრედია 1”-ის მომხმარებელს ქალაქ სამტრედიასა და მიმდებარე სოფლებში. გამორთვების გრაფიკი შეთანხმებულია ადგილობრივ ადმინისტრაციასთან: “სს “ენერგო-პრო ჯორჯია” ბოდიშს უხდის მომხმარებლებს შექმნილი შეფერხებისთვის. აბონენტების ენერგომომარაგება სამუშაოების დასრულებისთანავე ჩვეულ რეჟიმში აღდგება”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადეს “ენერგო-პრო ჯორჯიას” საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტებმა.



“სამტრედიის მაცნე”

თმა გაგუნაშვილი

ამ ფრაზის ავტორი წიგნიერი კაცია. მისი თქმა საკრებულოს სხდომაზე არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის საკითხის გამოტანამ გამოიწვია. 2015 წლის დაფინანსებაში მუხლობრივი ცვლილებების საკითხი განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ბადრი შენგელიამ გამოიტანა. საკრებულოს წევრი ილო მჭავია კი იმ წიგნების ბედით დაინტერესდა, სოფლებში ბიბლიოთეკების გაუქმების შემდეგ რომ დარჩა. ბიბლიო-

ციონალურმა მოძრაობამაც მოითხოვა. დეპუტატი ჯონი ახობაძე უფრო შორს წავიდა და დაინტერესდა, საერთოდ ხდება თუ არა აღრიცხვა ბიბლიოთეკებში არსებული წიგნებისა. "საბიბლიოთეკო საქმეს აქ ვერ გასწავლით". - ლამარა დუნდუას ეს სიტყვები და რამდენიმე დეპუტატის ღიმილი მოჰყვა მის ინტერესს. საკრებულოს წევრმა ზნა ად-

ისეთი წლები გამოიარა სამტრედიამ, ბიბლიოთეკა კი არა, კაცი ვერ იცავდა ქუჩაში თავს. ამიტომ, გონივრული ეჭვი მაქვს, ის ვერ გვექნება, რაც გვექონდა. არც იმას ვფიქრობ, ამაში ვინც ვერ ივარგა, კედელთან მივაყენოთ, მით უმეტეს, ქალბატონის მიმართ, ვისაც ეს საქმე ევალებოდა, ეს არ იქნებოდა. განცდა ნამდვილად მაქვს, იმისა, რაც გვაქ-



# სასიხარულოა, საკრიბულო წიგნზე აღდენ ხანს რომ შეიკრდა

ლაც, უბრუნდეს ყოვლისა, მოსაგვარებელია. მთავარია, წიგნები შენახული იყოს, რომ არ განადგურდეს, თორემ ე. წ. წიგნის ჭია ნიუ-იორკის ბიბლიოთეკამაც შეიძლება ჰქონდეს წიგნს. ძალიან სასიამოვნოა, რომ კულამის ბიბლიოთეკას მეთხველი დღესაც ჰყავს, ანუ მაშინ, როცა ინტერნეტმა ჩაანაცვლა წიგნი. ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდიას რომ ჩაეხვედ, არც ისე დიდი თანხა ახალი ლიტერატურის შესაძენად განსაზღვრული. სასურველია, იგი გაცილებით მეტი იყოს."

გად 30-დან გაუქმდა 23 ბიბლიოთეკა და 24 მუშაკი გაათავისუფლეს. დარჩა შვიდი. აქედან ერთი, სოფელ დანიშში დემურ ლაბანიძის დიდი ძალისხმევით იქნა შენარჩუნებული. მიუხედავად განთავისუფლებისა, ყოფილი ბიბლიოთეკარები ყურადღებას აქცევენ დალუქულ ბიბლიოთეკებს, გარდა იმისა, რომ მათზე პასუხისმგებლობა სოფლის რწმუნებულებს დაევალით. მელაურში ბიბლიოთეკა სულ ახლახან გატეხეს, იქაც წიგნები წაღებული არ ყოფილა, არეულობა დაგვხვდა მხოლოდ. რაც შეეხება კოლმეურნეობის მოედანზე ნანახი წიგნის შესახებ კი მინდა ვითხრა, რომ წიგნის დაკარგვა ბიბლიოთეკიდან ყოველთვის ხდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი განადგურდა, თუნდაც იმიტომ, რომ სულაც მითხველმა წაიღო და არ დააბრუნა."

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას, მუხლობრივი ცვლილება შტატის გადმოტანის თაობაზე დამტკიცებული იქნა.

არ განადგურდეს, თორემ ე. წ. წიგნის ჭია ნიუ-იორკის ბიბლიოთეკამაც შეიძლება ჰქონდეს წიგნს. ძალიან სასიამოვნოა, რომ კულამის ბიბლიოთეკას მეთხველი დღესაც ჰყავს, ანუ მაშინ, როცა ინტერნეტმა ჩაანაცვლა წიგნი. ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდიას რომ ჩაეხვედ, არც ისე დიდი თანხა ახალი ლიტერატურის შესაძენად განსაზღვრული. სასურველია, იგი გაცილებით მეტი იყოს."

სოფლის დირექტორად მუშაობის წლები გაიხსენა და აღნიშნა, რომ მელაურის სოფლის ბიბლიოთეკაში იყო დაცული სოფლის ბიბლიოთეკის წიგნები ფონდში, საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურამ. მისი მოთხოვნით, საკითხის შემსწავლელი 7 კაციანი კომისია ადგილზევე შეიქმნა, რომელშიც პრესის წარმომადგენლებიც იქნებიან და მუშაობას დაუყოვნებლივ შეუდგება.

ქალბატონი ლამარა დუნდუა საკითხის ირგვლივ უფრო ვრცლად საუბრობს და ამბობს: "რეორგანიზაციის შედე-

ვიშვილმა, სათაურად გამოყენებული ფრაზის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წიგნიერმა ავტორმა, განაცხადა: "დოკუმენტი იმისა, რაც არსებობდა აუცილებლად უნდა იდოს. ბედის ანაბარა არ უნდა დარჩეს წიგნები. მართლაც ტოლებში კი არა, ყველგან ასე იქნება. ჩვენს რაიონს ბევრი ქონება არ აქვს, მის მცირე ნუსხაში ბიბლიოთეკების გაერთიანების წიგნები ფონდშიცაა, რაც არც ჩვენი და არც წინა ხელისუფლების დამსახურება სრულდება არ არის, კომუნისტების დამსახურება და ქალბატონი ლამარასი. ჩვენ ვიცით მისი დამოკიდებულება ამ საქმის მიმართ. ამიტომ ვაღიარებულები ვართ, შევიხარჩუნოთ და დავიცვაოთ წიგნები ფონდში, როგორც ქონება. საბჭოთა პერიოდში ბევრი ბიბლიოთეკა გვექონდა. ყველას შენარჩუნება ძალიან რთული იყო. ამ გაუქმებული ბიბლიოთეკების ფონდის ირგვლივ იურიდიული და მორალური პასუხისმგებლობა მაინც ბიბლიოთეკების გაერთიანებას აკისრია. კარგია, თუ არსებობს ეს მიღება-ჩაბარების აქტები.

ეს, ის დავიცვაოთ და მოეუაროთ. ჩემთვის მისაღება სოფლის სოფლების ბიბლიოთეკებში იქნეს ისინი დაცული, მით უმეტეს, რომ სოფლას წიგნის ადგილი ყოველთვის მოეძებნება. მსიამოვნებს ამ საკითხზე მედიის ყურადღება. კარგი იქნება, თუ გარკვეული დროის შემდეგ საკრებულოს შეგავხსენებთ რა გააკეთეთ ამ საკითხის ირგვლივ-თქო, ლამის მთელი საკრებულო წიგნის ქომავი რომ გამოეჩინა".

სხდომაზე თითქმის ყველა სოფლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სოფელში ბიბლიოთეკა, ძირითადად, საჯარო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს. კულამის მაჟორიტარმა იმედა გოგავამ კი განაცხადა: "კულაში, საბედნიეროდ, ბიბლიოთეკა დალუქული არ არის, მას ფუნქციონირება არც შეუწყვეტია. იგი ადგილობრივი გამგეობის შენობაშია განთავსებული და ბიბლიოთეკარიც გვყავს მიხერული ანაზღაურებით. დაცულია წიგნები ფონდში, მართალია, ტექნიკურად სათანადოდ არა და ეს მართ-

## აღიღობიდან სასაზირო სისტემაზე

ბიუჯეტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლები იანვრის ბოლოს ერთი უსამართლო რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. წინა წლებში და წინა თვეებში 25 რიცხვამდე ხელფასების აღებას მიხვეულები, 28 იანვრისთვისაც რომ უფულოები დარჩნენ, ამ ფაქტმა მათი უმრავლესობა გაღიზიანებული დატოვა. გვარისა და სახელის მითითებისაგან თავის შეკავება "სამტრედიის მაკინოსთან" თხოვნით გამოხატეს, ისე კი უკლდაწყვეტილებმა აღნიშნეს, თითქმის ყველა ჩვენგანს ბანკებთან ვალდებულებები გაგვანია, 25 რიცხვამდე დაგვლიანებები უნდა დაგვეფარა, რომ ვერ მოვახერხებთ, ზედმეტი პროცენტი დაგვერიცხაო.

პრესა აღნიშნული პრობლემით დაინტერესდა და სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით კომპეტენტურ ორგანოს მიაშურა. 2015 წლის 5 იანვრიდან საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტები ახალ, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაზე გადავიდა, რამაც ადგილობრივ ბანკებში ანგარიშების დახურვა და სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე გადატანა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, 2015 წლის იანვარი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაქვემდებარებაში მყოფმა ორგანიზაციებმა ხელფასების გაცემის თარიღის გადაწვევით დააფიქსირეს.



6060 ნანობაშვილი

## აღიღობიდან მცირედიდან ფარმერთა ხელშეწყობის პროექტი

ლიპან გაგუნაშვილი  
როგორც ვიცით, ხელისუფლებაში მოსვლამდე უკვე მმართველმა გუნდმა, ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარება, ფერმერებსა და მიწის მესაკუთრეებზე რიგი შეღავათების დაწესება დაისახა მიზნად და სიტყვა ძირითადად საქმით და მშენებდა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, პროექტს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროექტის მიზანსა და ამოცანას შეადგენს 2015 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოების აგროტექნოლოგიური ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობით მცირემშენიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირების გაგრძელება, მათი მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოსაყალიბებლად.

იანობის ხელშეწყობა (სასუქით ან მცენარეთა დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა) რომელთაც თავიანთ მიწის ნაკვეთებზე მხოლოდ მრავლწლიანი კულტურები გააჩნიათ. პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სა-



## უპეტიტო საჭმის წარმოებაზე გააუთიან



ჩვენი მუნიციპალიტეტიც უერთდება საყოველთაო სახელს და საქმის წარმოების ელექტრონულ წესზე გადადის. ამ დღეებში მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს აპარატის სპეციალისტებს ტრენინგები ჩაუტარდათ, ეტაპობრივად ჩვენი მუნიციპალიტეტიც ჩაერთვება ამ პროცესში. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, ამ სახელის დანერგვით დაფიქსირდება დროსაც და ენერჯისაც.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილე, როსტომ თავაძე: "ყველა მუნიციპალიტეტიც გადასულია ელექტრონული საქმის წარმოების წესი იცვლება, ესაა ელექტრონული ურთიერთობა, ერთი წერილის გადამისამართება მეორესთან, მერე კანცელარიაში გატარება, მერე მისი ისევე მიტანა, კურიერის გაგზავნა... ეს ყოველივე დროსთან იყო დაკავშირებული. ახალი ელექტრონული საქმის წარმოება აბსოლუტურად აიოლებს ყველაფერს, ეს ხდება ონლაინ რეჟიმში, როგორც კი "დაგაკლიკებთ" დოკუმენტს, მივიღებთ, წავიციოთხავთ, მივცემთ გარკვეულ მიმართულებას, ის იმავ წუთში მიდის ადრესატამდე, ადრესატზე მისიერად ამისამართებს სხვაგან. ყველაზე კარგი ამ პროცესში ისაა, რომ იზოგება დრო. როგორც კი მოქალაქე განცხადებას შემოიტანს, ის იტვირთება სისტემაში, წამების განმავლობაში მიდის კონკრეტულ ადრესატამდე, ეს მოქალაქისთვის დროის დაზოგვაა, ჩვენთვისაც, თანამშრომლებისთვის ეს ნიშნავს მუშაობის გამარტივებას. ტრენინგები ჩაუტარდათ გამგეობის, საკრებულოს სპეციალისტებს, ადმინისტრაციისა და კანცელარიის თანამშრომლებს.

ამ პროგრამის ყველაზე დიდი მოცულობა ემსახურება კანცელარიას, აქედან შემდეგ ნაწილდება სპეციალისტებზე და ხელმძღვანელებზე. ფურცელი შეიძლება, სადმე გაიბნეს, როცა სისტემაში იტვირთება ტექსტი, იგი 3 ადგილზე იწერება. 3 დიდი სადგურია, სადაც ინფორმაცია სხვადასხვა ადგილას ინახება. ერთის წაშლის შემთხვევაში, ის ინახება მეორე სადგურში. ასე რომ, არსებობს სრული გარანტია, ეს ინფორმაცია არ დაიკარგოს. გასული კვირიდან მუნიციპალიტეტი საქმის წარმოების ელექტრონულ წესზე გადავიდა. მცირე დროის განმავლობაში ელექტრონულად გაგზავნილ წერილს გაგვება ფურცელიც, მაგრამ ელექტრონულ წესზე გადასვლა უსწრაფესად მოხდება".

ტრენინგები ქუთაისიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა ჩაატარეს, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც პროგრამის შექმნაზე დიდი ხანია მუშაობენ.

ნათა ნაცვლიძე

# პატარა კლასი ნოღაში გზა დახვდება

## კბირი იმიჯი კაქვს, ენას უნდა დააჭირო

თეა გაგუნიანი

ზემო ნოღაში, შანიძეების უბანში მე-წერისგან წაღებული გზის ამბავი სოციალური ქსელით მთელმა საქართველომ გაიგო. იმ გზით პატარა კლასი აქამდე შინ ვერ მიჰყავდათ. თუმცა, მალე ესეც ვერ შეუძლია ხელს, თითქმის მიტოვებულ სოფელში, კიდევ ერთ ახალ კერაზე დაინთოს ცეცხლი. მუნიციპალიტეტის გამგებელი და მისი მოადგილეები სოფელს რომ ეწვივნენ, ვეძებოდათ, რომ არ მიგვატოვებოთ, – შეეგებნენ დამხვდურები. სეისმურად არამდგრად ზონაში წყალი და მეწვერი არ უკვირთ. ეს არც პირველია და იციან, რომ არც უკანასკნელი იქნება. თუმცა, როგორც ამბობენ, ამ ადგილზე მეწვერი პირველად ჩამოვარდა. აქაური მკვიდრი თლევ შანიძე ამას ბუნებრივი აირის სამუშაოებსაც აბრალებს, რომელიც ჯერ ისევ მიმდინარეობს. თვლის, რომ “ძალიან კარგია სოფელს ბუნებრივი აირი რომ ექნება, მაგრამ აქ საკაპრო მაგისტრალი უნდა

გაჭიმულიყო. მიღები მიწაში რომ გაიყვანეს, იმანაც გამოიწვია ეს პრობლემა. მეორე საკითხია, ის, რომ რაც გააკეთეს, უკვე თითქმის გაფუჭებულია”. მის ამ განცხადებას სოფელში გამგებლის წარმომადგენლის, ალექსანდრე ბოცვაძის შენიშვნა, “კბირი იმიჯი კაქვს, რომ ენას უნდა დააჭირო” მოკვდა, თავად ალექსანდრე ბოცვაძემ კი განმარტა: “მეწვერი ამ ადგილას გზის სამუშაოების დაწყებამდე ჩამოვარდა. კომპანიამ, რომელიც მათ, მის ხელთ არსებული პროექტით იხელმძღვანელებს, ეს დამპროექტებლების ბრალი უფროა. რა თქმა უნდა, საკაპრო მაგისტრალი უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა”. ამ აზრზე აქაური შოთა შანიძეც თუმცა, იგი იმასაც ამბობს, რომ “არაფერზე ვწუწუნებთ, მთავარია, გზა გაკეთდეს”. მართალია, ამჯერად დროებითი გზისთვის მიმდინარეობს სამუშაოები, რადგან სპეციალისტების დასკვნით, გაზაფხულამდე არ არის სასურველი რამენაირი სამუშაოს შესრულება, მაგრამ გაბიონი იმდენად მკვიდ

რად გაკეთდა, იქნებ შეეკეთება ან გამაგრება აღარც დასჭირდეს. “მას შემდეგ რაც გზა წაიღო მეწვერმა, შემოვლითი გზებით გვიწევდა სახლამდე მისვლა, მეორე სოფლიდანაც კი. მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას, რომ გულთან მიიტანეს ჩვენი სატყვიარი”. – მარინა შანიძის ამ სიტყვებს იქაურებიც ეთანხმებოდნენ.

“ეს სამუშაოები დროებითია, თუმცა, იქნება მუდმივიც გამოდგეს, რადგან რაც გაკეთდა, კარგად გაკეთდა. ყველა დახიანება აღმოიფხვრება. თუ ჩვენი ძალებით ვერ შევძლებთ ამას, ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაეხმაროთ”. – აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიან ფოცხვერიამ. გამგებლის პირველი მოადგილე, დავით ბახტაძე იმზებდა საუბრობდა, რომ “გვინტერესებს, რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება სამუშაოებზე განსაზღვრული თანხები. ამჯერად ხარისხი მაღალია. ეს სამუშაო აუცილებლად უნდა შესრულდეს”. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფრო



ოსი ზურაბ გოგია ხაზს უსვამს რომ მიმდინარე სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდა. როგორც გამგებლის მოადგილე როსტომ თაყაიძე გვითხრა, გამოყოფილი 8455 ლარის სამუშაო შესრულდა შპს “ფაზისი 2005”-ის მიერ. რაც შეეხება საკაპრო თუ მიწისქვეშა მაგისტრალს, ეს ადგილი სეი-

სმურად არამდგრადი ზონაა, მიწა ხშირად მოძრაობს და იქნებ ეს საკაპრო მაგისტრალი გამართლებული არც ყოფილიყო.”

ერთი სიტყვით, იმ თბილისელ პატარა კლასს, ნოღაში რომ ჩამოიყვანა სიყვარულმა, ახალ ფუტეზე მისასვლელად გზა დახვდება.



თეა გაგუნიანი

მუნიციპალიტეტის მალაშვილის ზონა მოკლე ხანში სრულად იქნება გაზიფიცირებული. შესაბამისი სამუშაოები გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ გადამა ზონის ყველა სოფელშია დაწყებული. კომპანიის მიერ გამოცხადებ-

ული გამართებული ელექტრონული ტენდერით, მტკრეველი-წილგაბანი-თბილისის, კომპანტეხე-კეთილარე-ციფცალას, საჯავახო-ჭოგნარი-ნიგორზღვა I და II, ვაზისუბანი-ქორეისუბნის, ტოლეზი-ზემო და ქვემო ნოღის, ზემო და ქვემო აბაშის, გორმალაი-ქვაყუდეს, დაფნარი-დაბლა გომის, მთისძირი-ზედა ეწ-

ერი-დაბლა ეწრის უბნებზე სხვადასხვა კომპანია ახორციელებს სამუშაოებს. ექსპლუატაციაში გასასვლელი ვადა, რელიეფის სირთულიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვადასხვაა, ყველაზე მცირე 70, მაქსიმუმ, 120-150 დღეა. სამუშაოები ყველა უბანზე დაწყებულია. “კომპანიებთან კონსულტაციებით ვიცი, რომ ვადებში ეტყვიან. აგრეთვე, მოსახლეობის აზრსაც ვითვალისწინებთ. ამით მაღალი მთიანი ზონის გაზიფიცირება მუნიციპალიტეტში მთლიანად დასრულდება”. – ამბობს გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძე. მაგისტრალის გაყვანის შემდეგ, მოსახლეობამდე ბუნებრივი აირის მიყვანას “სოცარ-ჯორჯიას” ადგილობრივი ფილიალი უზრუნველყოფს.


მუნიციპალიტეტის გამგებელი და მი-

სი მოადგილე ნიგორზღვა I და II-საჯავახოს და გორმალაი-ქვაყუდეს უბანზე მიმდინარე მშენებლობას ეწვივნენ. ნიგორზღვაში მაგისტრალი 37, ქვაყუდესში კი 24 კილომეტრზე გადის. გორმალაი მთლიანად საკაპრო მაგისტრალით მონტაჟდება. მუნიციპალიტეტის გამგებელი იმ 10 ოჯახის ბედით დაინტერესდა, რომელიც ტრასის პირას, ცხოვრობს და სამტრედიის რაიონს არ ეკუთვნის. “ისინი ითხოვდნენ, მიგვაბით სამტრედიასო. ალბათ არ იქნება პრობლემა, რომ არც ისინი დარჩნენ ბუნებრივი აირის გარეშე”. შპს “ენერჯი ინვესტი 2009-ის”, კომპანიის, რომელიც ამ უბანზე მუშაობს, სამუშაოთა მწარმოებელ მამუკა ქოქლადისგან ვალერი ფოცხვერიამ შეიტყო, რომ ის 10 ოჯახი არ არის პროექტში. “თუმცა, თუ სათანადო მო-

თხოვნა იქნება, ვფიქრობ, პრობლემა მოიხსნება. რაც შეეხება სამტრედიას, სამუშაოების ხარისხი მაღალია. ჩვენს სპეციალისტებთან ერთად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა”. – აღნიშნა სამუშაოთა მწარმოებელმა. დავით ბახტაძის განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლების უშუალო მითხონა კომპანიების მისამართით, მკვიდრი მოსახლეობის დასაქმებაა.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ბარის სოფლებს, კომპანია “სოკარი” თანმიმდევრულად მუშაობს. ვიცით, რომ ტემპი ცოტა დაბალია და ეს მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ამით არც ჩვენ ვართ კმაყოფილი”. – ამბობს გამგებლის მოადგილე, ნელი ტემპის მთხუნად კი კვალიფიციური მუშახელის არასაკმარის რაოდენობას ასახელებენ.

# გაღმა ზონის გაზიფიცირება გრძელდება



თეა გაგუნიანი

საქართველოს პატრიარქის ინიციატივას – თითოეულ ადამიანს წლის მანძილზე 12 ძირი ხე რომ აუცილებლად უნდა დაერგო, ამერ-იმერში, მთასა და ბარში მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. მისასალმებელია, რომ მწვანე აქციებში მონაწილეობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის თაკაკაცხმაძე, ცალკეული ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც მიიღეს, მაგრამ გვაოცებს ერთი, უკვე ნაცადი მეთოდი, რომლითაც წლების მანძილზე ხდება ასევე წლობით ნაზარდი მცენარეების ხელოვნური კვლიმის პროცესის დაჩქარება.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის პრესტიჟულ ნაწილში სასურველი პროფილის, დიზაინის შენობის ასაგებად უფლებამოსიებული პიროვნება მრავალწლიან მცენარეებთან ისე ახლოს წამოიწვიებს გრანდიოზულ მშენებლობას, რომ მშენებლობის პროცესში თუ არა, დასრულების შემდეგ მათი “ოპერატიულად გაქრობა, ან მოულოდნელი გახმობა” გარანტირებულია. ხდება ისიც, რომ მცენარეებს ფესვთა სისტემას უხერხეავენ, უჭრან, რაც მცენარის თანდათანობით ხმობას იწვევს.

– წინასწარწვლილ ქალაქში, ერთ-ერთ ქუჩაზე უპრობლემოდ დაანარცხეს მიწას ვეებერთელა ჭადარი. გვენიშნა, რომ იქ რაღაც შენდებოდა. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ახლად საძირკველგაჭრილი შენობა მის მეპატრონეს, მაგრამ თუ სამტრედიას ქვის ქალაქად არ ვაქცევთ, საკუთარ ბიზნეს-ინტერესებს ხალხის, თანაქალაქელთა ინტერესებზე მაღლა არ დავაყენებთ, კარგი იქნება, თუ არადა... გონებაში “სამტრედიის მაცნეში” გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დაბეჭდილი ერთი ლექსი ამოტივტივდა, მაშინ ჭადრებზე მასობრივმა შეტევამ რომ უკარნახა ავტორს:

“ჭადარი რომ გადახერხეს, ცუდს რას ხედავთ თქვენ ამაში? ხეს კი არა, კაცს თავს ჭრთან – უპატრონო ქვეყანაში.”

ნამდვილად სხვა დრო იყო მაშინ საქართველოში, განუკითხაობა, ქაოსი... ზენიტში იყო ასული. დღეს კი, დღეს მართლაც სხვა დროა, ამდენად, უფრო მტკივნეულადაა აღსაქმელი მრავალთა აზრის გაუთვალისწინებლობა და შეტევა ბუნებაზე.

ნუ გადავაცქევთ სამტრედიას ქვის ქალაქად!

ლუბან გაგუნიანი



მუნიციპალიტეტის საკრებულოდან წამოსული იდეის ავტორი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, პანთონის, სასაფლაოებისა და სანერგე მეურნეობის გაერთიანების ხელმძღვანელ მერაბ დიდიძესთან და მის თანამშრომლებთან ერთად გზამტარის ხიდის მიმდებარე გამართული სამუშაოებისას ჩავეწერეთ. ჯერ კიდევ შემოდგომაზე დაწყებული გამწვანების აქციის გაგრძელებად, იანვრის გაზაფხულოვით თბილ და მზიან დღეს იმ ტერიტორიის შემოღობვა იგულისხმება, სკვერის გასაშენებლად რომ შეიქმნას. ესეც კობა ძიძიგურის ინიციატივით. “შემოდგომაზე დაწყებული გამწვანების აქცია ხელის შეწყობას საჭიროებს. გარკვეულ თანხებსაც მოუყვართ თავი, საჭირო მასალებიც მოვიძიეთ. ვფიქრობ, ძალიან მალე აქაურთა ლამაზ კუთხედ, სკვერად შევამატებ ქალაქის შემოსასვლელს”. – აღნიშნავს იგი.

სკვერისთვის განსაზღვრული ტერიტორიის შემოღობვა აუცილებელი გახდა მოხეტიალე პირუტყვისაგან დასაცავად. წლების წინ, დიმილიანი თემა, ძროხების ციხე სამტრედიასში, ამჯერადაც გაგვახსენდა, რადგან პრობლემა რამდენადმე მოგვარდა, თუმცა, ვერ აღმოიფხვრა. ამიტომ ქალაქს ე. წ. მეველე ახლაც ჰყავს. ასე ორიგინალურად ადგას საქართველო 21-ე საუკუნეში ევროპისაკენ მიმავალ გზას. თუმცა, პირუტყვს რა მოვთხოვთ, მეტყველი ადამიანებიც არანაკლებ ზიანს აყენებენ ნარგავებს. თუ ეს ღობე დაცვას შეძლებს, როგორც მერაბ დიდიძე ამბობს: “გამხმარი ნარგავები ახლით შეიცვლება, დეკორატიული ხეები დაიარსება, ხის სკამები დაიდგება” და მალე ქალაქის შემოსასვლელში კიდევ ერთი დასასვენებელი კუთხე გაჩნდება. იგი რამდენადმე შეაქვს ყოფილი მაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის ტერიტორიის უდაბურებას, რომელიც კერძო მფლობელის ხელშია. იქვე, რუსთაველის ქუჩაზე არსებული სკვერის ორიგინალური ჰემისის აუცილებლობაც, სკვარაულოდ, პირუტყვის “ზეტალის” ნაყოფია. იმავედროულად თანამედროვე სამტრედიის “თანამედროვე არქიტექტურის” ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს.

თებერვალი მიწის სურნელით ადრე საგზააფხულო სამუშაოების დაწყებით ახსენებს თავს შესაბამის სამსახურებს. მერაბ დიდიძის განცხადებით, ისინი მზად არიან ამისთვის.

თეა გაგუნიანი

# “მთავარი პრობლემა, რაც მოსახლეობას აწუხებს, უმუშევრობაა”

ნათია ნაცვლიძე

**სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს, გიორგი კახიანს ტელეფონურად გამოჩვენის სისხლის თვალსაზრისით კონკურენტის ბევრი დეპუტატი ვერ უწევს. რამდენიმე ფრონტზე “შეპრობლი” დეპუტატი ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებთან შეხვედრებსაც სწორად მართავს. ამ მოუკლებლობის გამო ინტერვიუსთვის კარგა ხანს მოგვიწია ლოდინი. ბატონი გიორგი ერთგვარად აჯამებს როგორც სადეპუტატო უფლებამოსილების განვლილ პერიოდს, ისე იმ პრობლემებზეც გვესაუბრება, რომელთა მოგვარებაც ვერ შეუძლია. მას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასებაც ვთხოვეთ.**

– ბატონო გიორგი, დაკავებულნი ხართ საუნივერსიტეტო მოღვაწეობით, აქტიურად ხართ ჩართული კანონმდებლობით საქმიანობაში, უამრავ მოქალაქეს ხვდებით მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში, გიწვევთ მათი პრობლემების მოსმენა და გადაჭრის გზების ძიება, წლის დასაწყისში, ერთგვარი ანგარიში მიაწოდეთ თქვენს ამომრჩეველებს, რისი გაკეთება შეძელით და რისი ვერა?

– 2014 წელი იყო საკმაოდ რთული წელი, იმ გამოწვევებიდან გამომდინარე, რომლის წინაშეც ჩვენი ხელისუფლება და ზოგადად, სახელმწიფო იმყოფება. თუმცა, მოხერხდა ბევრი რამის გაკეთება. მთავარი პრობლემა, რაც მოსახლეობას აწუხებს, უმუშევრობაა, სოციალური პრობლემების დაძლევა და გადაჭრა არის სწორედ ორიენტირებული ჩვენი ხელისუფლება და იმ პროექტებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს სოციალური პროექტებზე, ვიდრე წინათ ხდებოდა.

– მაგრამ ხალხზე რამდენად აისახება ეს ყოველივე?

– 2015 წლის ბიუჯეტი წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით სოციალური პროექტების თვალსაზრისით არის გაზრდილი. 2800 000 ფაქტობრივად, საქართველოს მიერ ბიუჯეტის შესაძენად არის სოციალური პრობლემებზე ორიენტირებული, თუმცა, ეს საკმარისი არაა. ამან შეიძლება ოდნავ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ მთლიანობაში სოციალური ფონის გაუმჯობესება ვერ მოხერხდება. რითიც შემოიღო ვიამაყო, ეს არის ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა. იგი სრულად განხორციელდა და დროთა განმავლობაში თანდათან უფრო იხვეწება.

ჩემდა საბედნიეროდ, ბიუროში მოსახლეობის მიღებაზე (გუშინ 20 ადამიანი მივიღე, საშუალოდ დღეში 15-20 ადამიანს ვღებულობ), კმაყოფილი არიან და ამბობენ, რომ ეს პროგრამა მუშაობს საკმაოდ ეფექტურად. მიმავალი წლის ბიუჯეტში ამ თვალსაზრისით კიდევ მეტია გათვალისწინებული. მიმდინარე წელი გამოცხადდა C პეპატივით ბრძოლის წლად, ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა მოსახლეობისთვის, არაოფიციალური მონაცემებით 200 000-ზე მეტი ადამიანი ამ ვირუსით შეპყრობილი. ბევრი ჩვენი მოქალაქე ვერ ახერხებდა ამ თანხების მოძიებას და მძიმე მდგომარეობაში ივდებდა თავს.

– კონკრეტულად რომ გვითხრათ, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის რისი გაკეთება შეძელით?

მოგეხსენებათ, ადგილობრივმა საკრებულომ მიიღო ბიუჯეტი, აქაც გაზრდილია ის თანხები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ დახმარებას უნდა უზრუნველყოფდეს. წინა წელს ეს იყო 150 000 ლარის ფარგლებში, წელს

გაორმაგდა ბიუჯეტი. რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობის მომსახურებას მოხმარდება. ჩემთან შეხვედრებზე მოსული ადამიანები მთავარ პრობლემად წარმოაჩინენ უმუშევრობას, ამ თვალსაზრისით მეტი უნდა გააკეთოს სახელმწიფომ. მიხარია, რომ სამტრედიისში წინა წელს მოხერხდა ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობით კულამის საქსოვი ფაბრიკის ამუშავება. ჩამოვიდა დამატებითი ტექნიკა და მეტად გაიზარდა დასაქმებულთა რიცხვი. მიხარია, რომ უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი და გაკეთებული სასაბურთო მეურნეობა გაიხსნა სამტრედიისში, აქ პოლიტიკური ინვესტიცია განხორციელდა, კულამის შემთხვევაში, მოგეხსენებათ, თურქული ინვესტიციაა. ამ ეტაპზე აქ 20-30 ადამიანი დასაქმდა, იგეგმება მასშტაბების გაზრდა. როგორც ვხედავთ, 100 და 300 ადამიანის დასაქმება ჩვენს მუნიციპალიტეტში, ეს საერთო ფონს არ ქნის, რომ უმუშევრობის პრობლემა წელში გაგვტყუდებდეს. “ქართული ოცნება” არჩევნებამდე მოსახლეობას პირობებდა, 100 ახალ საწარმოს, მართლაც შეიქმნა ბოლო 2 წლის განმავლობაში 100 საწარმო, მაგრამ, გარდამტეხი ცვლილებები ამ საწარმოების გახსნამ ქვეყანაში ვერ შეიტანა. უნდა გაკეთდეს 1000 ასეთი საწარმო, პრობლემა რომ დაიძლიოს. საწარმოები რომ შეიქმნას, სახელმწიფო სხვადასხვა ინიციატივებს იჩენს: ასეთია, მაგალითად, პროგრამა “სწავლობე საქართველოში”, “შეღვათიანი კრედიტები”, ძალიან მნიშვნელოვანია აგროდამხმარების პროგრამა. ფერმერი, რომელიც სამეურნეო საქმიანობას ეწევა, დაზღვეული იქნება, სტაქსის შემთხვევაში აუნაზღაურდება ხარალო.

– ბოლო პერიოდში ქვეყანაში სახსრები ლარის არნახული გაუფასურება, კრიმინოგენული სიტუაცია გაუარესდება. ხელისუფლება არათუ იძიებს იმ რეზონანსულ საქმეებს, რომელთა გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის ღონისძიებით მოვიდა ქვეყნის სათავეში, არამედ მკვლევრობას ვგეგვლობთ ემატება. რატომ ვერ შეძლო თქვენმა გუნდმა ისეთი თვალშისაცემი რეფორმები გაეტარებინა ქვეყანაში, რომ ამდენი უკმაყოფილო ადამიანი არ გვეყოლოდა? სულ ახლახან ერთ-ერთ იმერულ სოფელში 4 წლის ბავშვი “დააუთოვეს”...

– მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს ეკონომიკურ გუნდთან, თუ რატომ ხდება ლარის კურსის ვარდნა. რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მოგვიწია ყოფნამ, საკმაოდ რთული ვითარებაა არა მარტო საქართველოში, ჩვენს გარშემო მყოფ სახელმწიფოებშიც. ეს ყველაფერი არ შეიძლება არ აისახოს ლარის კურსზეც. ლარის კურსის ვარდნა აღინიშნება მხოლოდ დოლართან და არა სხვა ვალუტებთან მიმართებაში, იმიტომ რომ დოლარის გამყარების ტენდენციაა მიუღწეველი იმდენი ვალუტის მიმართ. მთლიანობაში ვფიქრობ, საქართველო-

ში ლარის კურსის თვალსაზრისით არ გვაქვს მძიმე, არაკონტროლირებადი ვითარება. ეროვნულ ბანკს აქვს ბერეკეტი, ლარის კურსის ვარდნა შეაფერხოს. სხვათა შორის, 2010 და 2011 წლებშიც ავიდა მაღლა ლარის კურსი და 1,9 ნიშნულს გადააჭარბა. რაც შეეხება კრიმინალურ მდგომარეობას, არ ვიტყვით, რომ საგანგაშო ვითარებაა. ჩვენდა სამწუხაროდ, პროპაგანდისტული მანქანის ერთ-ერთი ხერხია დასაქმება, წარმოაჩინონ, თითქოს, მძიმე კრიმინოგენური ვითარებაა. ზოგიერთი მედია საშუალება ხელისუფლებას აკეთებს ამას, რომ მოსახლეობას დაუხატონ ეპოკალიპტური სურათი. ძალიან ხშირი ურთიერთობა მაქვს თუნდაც ადგილობრივ სამართალდამცველებთან და მათგან ყოველთვის ვგებულობ, თუ რა კრიმინოგენური შემთხვევები დაფიქსირდა სამტრედიისში. ძალიან დამაშვილებელი ინფორმაცია მაქვს მათგან. პრობლემა კრიმინოგენური ვითარების გაუარესების თვალსაზრისით არც სამტრედიისში და არც ქვეყანაში არ გვაქვს. ამაღვროულად მესმის საზოგადოებისა, თუკი ასე ფიქრობს ვინმე, იმიტომ, რომ რასაც შეიძლება ვუყურებთ, სხვა არაფერზე მეტყველებს. დღეს ყველა დანაშაული შუქდება მედიის საშუალებებით, მაგრამ როცა შსს-დან მოტანილი წინა წლების სტატისტიკას დავხედავდი ვადარებთ, ვხედავთ რომ დანაშაული არ არის გაზრდილი. ამას სხვა უარყოფითი შედეგებიც მოაქვს: როცა კრიმინალი უყურებს ამას ტელევიზიით, ის შეიძლება წაქეზების ფაქტორიც გახდეს მისთვის, რომ აი, შსს ვერ მუშაობს, კრიმინოგენული ვითარებაა და ეს უარყოფითი გათვალისწინება ახდენს საზოგადოებაზეც.

ძალიან მძიმე ფაქტორი იყო იური ვანაგაშვილის მკვლელობაც, ის თავისი შვილის საფლავზე ააფეთქეს. ყველაფერი იმაზე მიუთითებს რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა. ჩემი ინფორმაციით, ძალიან ძალიან იგეგმებოდა ვანაგაშვილის მკვლელობის დაგეგმვითი საქმის დეტალებს გასაჯაროება, გამოძიებას, პროკურატურას უკვე ჰქონდა კონკრეტული შედეგები და აპირებდნენ ამ საქმის გახსნილად გამოცხადებას. თუმცა ამას დაასწრო ამ ტრაგიკულმა ფაქტმა. უკმაყოფილებას გამოვთქვამ, რომ უფრო ადრე არ მოხდა ზურა ვანაგაშვილის საქმისთან დაკავშირებული ფაქტების გამჟღავნება. სამართალდამცავი სტრუქტურების და ხელისუფლების პრესტიჟის საკითხია, ეს საქმეც იქნას გამოძიებული. იმედი მაქვს, მისი შვილის საქმისთან დაკავშირებული დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება და სამართალდამცავები გახსნიან იური ვანაგაშვილის მკვლელობის ფაქტსაც.

– როგორ შეაფასებთ ჩვენი ქვეყნის გარეთ, უკრაინაში მიმდინარე პროცესებში ჩვენი სამხედროების მონაწილეობას, თქვენი ოპონენტები უკრაინისთვის ბრძოლას ქართული ინ-



**ტერესების დაცვასთან აიგივებენ, როგორია თქვენი დამოკიდებულება?**

– სამწუხაროა, რომ ქართველი ვაჟკაცები, გმირულად იღუპებიან ამ ძალიან მძიმე უთანასწორო ბრძოლაში, იმ გმირებს, რომლებიც უკრაინაში იბრძვიან, სწორედ ასე აქვთ წარმოდგენილი, რომ ისინი იბრძვიან ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან უკრაინის დამარცხება ეს არის იგივე ჩვენი ქვეყნის დამარცხება. როცა ადამიანი ასეთი შეგნებით მიდის საბრძოლველად და ამის უკან არ არის არანაირი ანგარებითი მომღიწობა, როდესაც შენ მზად ხარ ატოვო ოჯახი და გწამს, ამ ბრძოლაში ოქსაზურები შენს ქვეყანას, რა თქმა უნდა, ის ადამიანები გმირები არიან. ისინი იბრძვიან საქართველოსთვის, თუმცა, ამ ბრძოლის ფრონტი ამ შემთხვევაში უკრაინაშია, დალოებული ბიჭების ხსოვნას პატივი უნდა მივაგოთ, მათ ვინც იქ იბრძვიან, პატივი უნდა ვცეთ. არა მგონია, ამ თვალსაზრისით განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს ვინმეს. ხელისუფლებისგანაც განსხვავებული პოზიცია არ მომისმენია.

– ჩვენ ვგახსოვს თავდაცვის უწყების თავდაპირველი განხილავებული განცხადება, რომელიც უკრაინაში პირველი ქართველი სამხედრო დაღუპვასთან დაკავშირებით გაკეთდა. როგორ შეაფასებთ კაიშიბი პულასკის ფონდის მიერ მებრძოლი მხივით სააკაშვილისათვის “თავისუფლების რაინდის” ჯილდოს მინიჭების ფაქტს. ცნობილია, რომ ეს ფონდი ამ ჯილდოს ყოველწლიურად გადასცემს თავისუფლების, სამართლიანობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული ღვაწლის გადღებ ცნობილ ადამიანებს...

– როდესაც მინიჭებს ეს ჯილდო? როდესაც ყოფილი პრეზიდენტის მიმართ არსებობს კითხვები სისხლის სამართლის დანაშაულის თვალსაზრისით, ეს არაა ის არ შეიძლება მოსწონდეს, როცა იგი ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, არც მე მახარებს ეს. ჩემი შეფასებით საფუძვლიანია ბრალდებები და კითხვები, რომლებიც ექსპრეზიდენტის მიმართ არსებობს. ერთი რამ უნდა გვესმოდეს: ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ საქართველოს, სადაც კანონის უზენაესობა უნდა იყოს მთავარი პრინციპი. კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს ყველამ. მძიმე შემთხვევების ერთ-ერთი ნაწილია, ის რომ ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების მიმართ ისმის ასეთი კითხვები, რომ ისინი ჩადიდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს და რამდენიმე შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოების გამამტყუნებელი განაჩენებიც არსებობს.

– ხომ არ იგეგმება უახლოეს ხანში ჩვენს მუნიციპალიტეტში სასაიკო ცვლილებები?

– გარდა იმისა, რაც იგეგმება ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებით, სახელმწიფომ რეგიონალური განვითარების ფონდიდან ყველა მუნიციპალიტეტს, მათ შორის სამტრედიისსაც გამოუყო გარკვეული სახსრები, რომლის ფარგლებშიც ასევე უნდა მოხდეს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა საკითხების მოგვარება. არც ისე დიდი ხნის წინ ტოლებში ადამიანები სასმელი წყლით მოიწამლნენ, იმისათვის, რომ სოფლების წყალმომარაგების საკითხი გადაწყდეს, სამტრედიისში, ეს საკითხი რიონის მარცხენა სანაპიროზე არსებული სოფლების უმრავლესობისათვის ძალიან პრობლემურია, გამოვყავით 680 000 ათასი ლარი. თანხა მოხმარდება სოფლებში წყალგაყვანილობის სისტემების მოწესრიგებას. მძიმე მდგომარეობაშია სანაპირო არხები, გამოვყავით 250 000 ათასი ლარი, რაც საგრძნობლად გამოასწორებს ამ თვალსაზრისით მდგომარეობას და უხვი ნალექის შემთხვევაში გამგებობის წინ მთელი ქუჩა არ დაიტბორება. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო საბავშვო ბაღები, სადაც არსებითი საშუალებები არ განხორციელებულა, თუკი რამე კეთდებოდა, სოფლის მხარდამჭ-

ერი პროგრამებით, რაც არ იყო საკმარისი, ამიტომ 300 000 ლარია გამოყოფილი ბაღების რეაბილიტაციისათვის. 150 000 ლარი გამოიყო დომენტი შანიძისა და კულამის სამუსიკო სკოლებისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის და ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციისთვის. კულტურის ცენტრში საერთოდ არ არსებობს სველი წერტილები და 100 000 ლარია გამოყოფილი პრობლემათა მოსაგვარებლად. ამას გარდა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად არის კიდევ გათვალისწინებული სხვადასხვა საშუალებები...

– პარლამენტში ჩხუბის დროს ძლიერი გამზავების მისიაც შეითავსეთ. ახალი წლის ერთად აღნიშვნის ტრადიცია ხომ არ გაქვთ დეპუტატებს?

– სამწუხაროდ, ბევრი რამ მინახავს პარლამენტში, მაგრამ რაც უმცირესობის წარმომადგენელმა ჩაიგინა, ასეთი რამ მართლაც არ ყოფილა საქართველოში პარლამენტის ისტორიაში. არსად გამიგია, რომ ჩართული მიკროფონის წინ დეპუტატი იგინებოდეს. ეს უზრდველობის ფარგლებშიც არ ჯდება, ყოველგვარ ზღვარს სცდება. საზოგადოებამ აგვიჩაია არა იმისათვის, პოლიტიკური შოუები დაგვადო, არამედ გადავტყუოთ ის პრობლემები რაც ხალხს აწუხებს. ზოგადად ის კანონმდებლობითი საქმიანობა, რომელსაც პარლამენტი ეწევა, არის ძალიან პროდუქტიული. საბოლოო ჯამში დარწმუნებული ვარ, ქვეყნის განვითარება სწორი მიმართულებით მიმდინარეობს.

ახალ წელს ყოველთვის ოჯახში ვხვდებით. დედის გარდაცვალების გამო ეს წელი ჩემთვის მძიმე იყო. არც მქონია სურვილი სადმე შეხვედრილიყავი.

## განცხადება

2015 წლის 17 თებერვალს, დაბა ბაკურიანში, სასტუმრო “თეთრ სანაპირო” “რეგიონული განვითარების რესურსცენტრისა” და მშვიდობის კორპუსის მონაწილეების პარტნიორობით, ნ დღის განმავლობაში გაიმართება, “ამერიკული ბანაკი”. ბანაკში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეებს. ახალგაზრდებს ჩაუტარდებათ ინგლისური ენის ტრენინგები. სასწავლო პროცესს წარმართავს პროგრამა FLEX-ის პროფესიონალი ტრენერები და “მშვიდობის კორპუსის” მონაწილეები. ასევე ჩატარდება ტრენინგები ქართულ ენაზე, რომელსაც ჩაატარებს პროფესიონალი ფურნალისტი, რომელთაც ტრენინგების დიდი გამოცდილება აქვთ – “პროექტების წერა”, “რეზიუმეს შედგენა”, “პრეზენტაციის მომზადება”. “ამერიკული ბანაკში” დაგეგმილია შემდეგი სახის აქტივობები: ადამიანის უფლებების თემატიკის დოკუმენტური ფილმების ჩვენება – ფასილიტაცია, ტალანტმოუ, დისკოთეკა და ბოლოს კი გამოსამშვიდობებელი ბანაკები. ბანაკის მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები. სასწავლო პროცესს აფინანსებს ორგანიზაცია, ხოლო ტრანსპორტირების, სამჯერადი კვების, ორი ყავის შესვენების ღირებულება შეადგენს 350 ლარს!

ენდეთ ჩვენს 7 წლიან გამოცდილებას, გვანდეთ თქვენი განათლება!

ვაატარეთ დაუვიწყარი დღეები ჩვენთან ერთად! გაიცანით კიდევ მეტი ადამიანი! განდით ახალი იდეების გენერატორები! იჩქარეთ და დარეგისტრირდით!

დაფინანსებული ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ.: 595 33 91 81.

# ახალი სახეები საკრებულოში

## ლიპნაზ გაბაჩიაძე

ნომრის სტუმარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მელაურის თემის მაჟორიტარი ხეიამ ფანცულაია.

**დაიბადა 1981 წლის 2 ივნისს, დამთავრა სამტრედიის მესამე საშუალო სკოლა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციალური მენეჯმენტის ფაკულტეტი, ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობით. წარჩინებით დაამთავრა აგრეთვე უნივერსიტეტის მაგისტრატურა-ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი.**

**2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, სადაც იგი კენჭს კოალიცია "ქართული ოცნებებიდან" იყრიდა, მელაურის თემის მაჟორიტარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გახდა.**

ლაშხა სოფელია მელაური, საოცრად შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს აქ. ძირითადად მეურნეობას, მეცხოველეობას მისდევს. ერთ დროს სოფელში ორი მძლავრი მეურნეობა, მეღორეობის სასუქი კომპლექსი მუშაობდა, სადაც ძირითადად ადგილობრივები იყვნენ დასაქმებულები, ამჯერად კი ქვეყნის საერთო სატვივარი ამ სოფელზეცაა დასაქმებული. სოფლის განვითარების პროგრამით წლების მანძილზე მელაურში რიგი სამუშაოები შესრულდა, რასაც მოსახლეობა მოწონებით შეხვდა, თუმცა, არის საკითხები, რომელთა მოგვარებაც კიდევ უფრო სიკეთესა და კომფორტს აზიარებს მელაურის მკვიდრთ.

ამჯერად ხიბლარსა და მესამე მიწაბოგრაფზე გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს, სისტემატურად ვეკონტაქტებით გაზის კომპანია, ჩვენი მიზანია, გაზიფიცირებამ მთელი სოფელი მოიცვას. მთელ რიგ უბნებში მოსაწესრიგებელია საწრეტი არხები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან მივიღეთ დაპირება, რომ მიმდინარე წელს გარკვეული სამუშაოები ჩატარდეს მელაურის საჯარო სკოლაში. წლების მანძილზე არ ფუნქციონირებდა სოფლის ადმინისტრაციული შენობა, ამჯერად მოწესრიგებულია ერთი ოთახი, სა-

დაც შესაძლებელია თანასოფელებმა, დაინტერესებულმა პირებმა სოფელ მელაურში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელთან კონტაქტი დაამყარონ. შედეგ გრაფიკი და ამ გრაფიკის მიხედვით სოფლის ექიმთან ვიზიტიც არ წარმოადგენს უკვე პრობლემას. – გვეუბნება სოფლის მაჟორიტარი.

ხეიამ ფანცულაია სამადლობელი მიმართავს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ადმინისტრაციას იმის გამო, რომ მათი ძალისხმევითა და მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა მელაურის საბავშვო ბაღში რიგი სამუშაოების ჩატარება. ეს გარკვეულად შეუწყობს ხელს კონტიგენტის ზრდას.



– დიდი სურვილი მაქვს, უბნებს შორის სოფლის პირველობა ჩავატაროთ ფეხბურთში და ამით რამდენადმე მაინც შევუწყვით ხელი ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტში. – თხოვს განაგრძობს რესპონდენტი.

ღრმადმორწმუნე ახალგაზრდა კაცია ხეიამ ფანცულაია, ხშირად ნახავთ მას კულამის წმინდა მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) სახელობის ტაძარში, მისი მოძღვრება დეკანოზი რომანოზი (ნინუა), უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს თანასოფელებში მამა რომანოზი. – გვეუბნება ხეიამ ფანცულაია და ახალგაზრდობას მეტი ეკლესიურობისაკენ მოუწოდებს.

მსოფლიო მნიშვნელობის შედეგია, უკვდავი შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი", აგრეთვე, ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხია" ჩვენი რესპონდენტის საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოებებია, აქტიური სპორტით, მართალია, თავად არაა დაკავებული, თუმცა ლამაზი ფეხბურთის, ფრენბურთის ყურება საოცარ სიამოვნებას ჰგვრის.

შეგიტყვევთ, რომ ჩვენი რესპონდენტი "სამტრედიის მაცნეს" მითხველთა შორისაა, რელიგიური თემები უფრო ხშირად და ვრცლად თუ გამოქვდება, მისასაღებელი იქნება. – მოყვარულით აღნიშნა მან.

ჩვენს შეკითხვაზე: რას მოუტანს სამტრედიასა და სამტრედიელებს ფოცხე-ერია-ჯამბურეის ტანდემი, როგორ შევა სამტრედიის ისტორიაში ვალერიანე ფოცხე-ერია-ჯამბურეისა და ნუგზარ ჯამბურეის მმართველობის წლები, რესპონდენტი გვპასუხობს: როგორც ბატონი ვალერი, ისე ბატონი ნუგზარი პატიოსანი, საოცრად სუფთა სინდისის ადამიანები არიან, ბატონი ნუგზარი ჩემი პედაგოგიც იყო მელაურის სკოლაში. მათი დიდი სურვილია პატიოსნად ემსახურონ ხალხს. ასე რომ, მათი მმართველობის წლები, ჩემი აზრით, დადებითი კონტექსტით შევა სამტრედიის სახელოვან, დირსულ ისტორიაში. – გვპასუხობს იგი.

მმართველი პარტიის მიმართ გამოცხადებული ნდობა რომ დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, ქვეყანა რომ ერთ და ორ წელიწადში არ (ვერ) აშენდება, გაკეთებულის პარალელურად გასაკეთებელ-მოსავარებელი რომ თავსაყრელადაა, კარგად აქვს გათავისებული ხეიამ ფანცულაიას.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ოდნავ დავგვიანებო შობა-ახალი წელი მიველოცო სამტრედიელებს, მელაურელები, ჩემი ამომრჩეველები დაგვარწმუნო იმაში, რომ ყველაფერს ვეცდებით, რათა ხალხის ნდობა გავამართლო. – გვეთხრა საუბრის დასასრულს ხეიამ ფანცულაიამ.

გვჭეუტანლად გვსურს ვირწმუნოთ მისი ნათქვამი.

## რის სემქმეობები იგეგმება ბეგ-ბეგებში და როგორ ხვდებიან სეჯემწრეველი წროტესის განხლებს



**კვლავ უცნობია, ჩვენს მუნიციპალიტეტში, საკმაო ხნის შესვენების შემდეგ, სააღმზრდელო პროცესი როდის განახლებება. როგორც სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი, ხათუნა ახობაძე ამბობს, პროცესი ჭიანჭურდება იმიტომ, რომ ღარის კურსის ცვალებადობის გამო ტენდერი არ შედგა და არ გამოიყვება ის მოწოდებელი, რომელიც ბაგა-ბაღებს საყვები პროდუქტებით მოამარაგებდა.**

– რა სახლებით ვგებება სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება სააღმზრდელო პროცესის განახლებას?

– სულ 2 კვირაა, რაც რამდენიმე ბაღში სარემონტო სამუშაოები დაეასრულეთ. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა ქუთაისურმა ორგანიზაციამ "შენე-ეკელი" შესრულა. 19 100 ლარის ფარგლებში ჩატარდა სამუშაოები რამდენიმე ბაღში და მოწესრიგდა სველი წერტილები. ეს ბაღებია: მე-11, მე-7, მე-9, მე-2, ენერისა და დიდი ჯიხაიშის ბაღები. მე-11 ბაგა-ბაღში საერთოდ არ იყო საპირფარეო, გამგებელმა ვალერი ფოცხე-ერია, დააგადა შესაბამისი უწყვეტ პრობლემების აღწერა, ძირითადად, ეს თანხა უნდა მიმართოს სველი წერტილების, სამზარეულოების და სახურავების მოსაწესრიგებლად. ჩვენ სოფლის პროგრამების თანხებს ბაღებისაკენ ვერ მივმართავთ, მაგრამ ვესაუბრეთ სოფლებში გამგებლის წარმომადგენელს და დეპუტატებს, მათ ხალხთან მუშაობა უნდა ჩაატარონ, რომ როგორმე ბაღებისაკენ მიმართოს თანხა. როგორც ვიცო, დაახლოებით 70, 80 ათასი ლარია გამოყოფილი სოფლის პროგრამებით. ბევრ ბაღში სველი წერტილები მოწესრიგებულია. მაგალითად, ბაშის ბაღში სამზარეულო, სველი წერტილებიც, საძინებელიც მოწესრიგდა, დიდ ჯიხაიშში სოფლის პროგრამით შეუძინეს გაშქურა, მაცივარი. იანეთშიც გაშქურა სოფლის პროგრამით შეუძინეს, ჩვენი ხარჯით მე-5 ბაღს და საჯავახოს ბაღს შეეუძინეთ გაშქურა, ყველა ბაღში შეტანილია ღუმელი. რეგიონული განვითარების ფონდმა გამოგვიყოფ 300 000 ლარი, ჩვენი გაერთიანების ბიუჯეტიდან 35 000 ლარი გამოგვიყოფთ, ეს თანხები მიმართება ბაგა-ბაღებში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. სააღმზრდელო დაწესებულებებში უკვე შეეიტანეთ 1250 ლარის საკანცელარიო ნივთები. 2300 ლარის სათამაშოები და 1500 ლარის სამეურნეო საქონელი.

– საწილების თემასაც შეგვხვთ, უზრუნველყავით ბავშვები საძინებლებით?

ისეთი ურთულესი და მძიმე პრობლემები დამხვდა, ვერ მივედით ინვენტარის შექმნამდე. ბავშვს, როდესაც საპირფარეო არა აქვს, მოწესრიგებული, ბუნებრივია მის საწილზე ვერ ეზრუნებო. შეძლებისდაგვარად, პარალელურად ვზრუნავთ, საძინებლების პრობლემა მოვავაროთ. არ გვაქვს ფუფუნება, ცალკე საძინებელი ოთახები გამოვიყო. არის გამოწვევის რამდენიმე ბაღი, სადაც ვერ იძინებენ ბავშვები, მაგრამ ნამდვილად არ ხდება ისე, რომ ბაღებში ბავშვები მასობრივად არ იძინებენ. ვერ მოსთხოვ ვერაფერს ბაღის მმართველს, თუ საძინებელი არ მოუწესრიგებ.

– მმართველებთან დაკავშირებით ცვლილებებს ხომ არ გგეგმავთ?

– ამ ეტაპზე არა, მაგრამ უკმაყოფილო ვარ იმით, რაც მოხდა კულამის ბაღში და რაც გააშუქა რუსთავე 2-მა, მინდა ვთქვა, რომ იქ არსებული ვითარება გაშუქდა არასწორად. როგორც მათ სურდათ, ისე დაამონტაჟეს სიუჟეტი. რაც ჩემი თვლით ვნახე და გავესაუბრე იმათ, შემძილია ვთქვა, რომ აქვთ შეცდომები. მე რომ მქონდა მოწესრიგებული ყველაფერი. მე მოეთხოვდი პასუხს მმართველს, ეკა ბელთაძეს, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით სათანადო თანხის მოპოვება და პირობების მოწესრიგება. მსგავსი პრობლემა ბევრ ბაღშია.

ნანა იმნაძე, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე:

– ხათუნას ხელმძღვანელად მოსვლიდან დღემდე 5 თვე გავიდა. ფაქტობრივად, წინა წლების ადგილობრივ თვითმმართველობაში მყოფ ადამიანებს ბიუჯეტი 2014 წლის დეკემბრისთვის ჰქონდათ გაწერილი, ამის გამო ვერ მოახერხა ჩვენმა დაწესებულებამ ბევრი პრობლემის მოგვარება, მათ შორის ბაღებისათვის სახურავის გადახურვა. ბიუჯეტი არ გვაძლევდა იმის შესაძლებლობას, ეს პრობლემა მოგვარებულიყო. 2015 წლის იანვრისთვის კი გადმოგვეცა თანხები და ჩატარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. ადგილობრივი ხელისუფლება გვერდით გვიდგას, რომ პრობლემები წამოვიწიოთ ბაღებში და ვიზრუნოთ მათ მოგვარებაზე.

## მე-11 საჯარო სკოლაში მინისტრის დისქციონი უფლებამოსილება გამოიყენა

## ნინო ნინოშვილი

ზოგადი განათლების შესახებ კანონის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ გამოიყენა დისციონიური უფლებამოსილება და სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის დირექტორად 6 წლის ვადით ლენა ხაჯალია-აბურჯანიძე დაინიშნა. ქალბატონი ლენა 2015 წლის 20 იანვრიდან 2021 წლის 20 იანვრამდე მე-11 საჯარო სკოლის დირექტორი იქნება. ანალოგიურად, 6 წლის ვადით, არა დაინიშნული, არამედ სამეურვეო საბჭოების მიერ არჩეული სამტრედიის მუნიციპალიტეტის 16 საჯარო სკოლაში ჰყავს დირექტორი. 18 საჯარო სკოლის ხელმძღვანელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები. გამოწვევისას სხვით არის მე-15 საჯარო სკოლა, სადაც დირექტორი მხოლოდ იმ მიზეზით ვერ იქნა არჩეული, რომ სკოლას არ ჰყავდა სამეურვეო საბჭო. თუმცა კანდიდატი, გიორგი მეიშვილი ამ პოსტზე განათლებისა და მეცნიერებ-

ის მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის № 1225 ბრძანებით იყო წარდგენილი.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის ნოემბერში 2 სკოლის დირექტორი შეიცვალა, მე-4 საჯარო სკოლაში კუც-



ია და ბაშის საჯარო სკოლაში ციციონო ხაბალაშვილი დაინიშნენ.

ელენე ბოზუა, სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:

"2014 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სკოლის დირექტორთა შე-

სარჩევ კონკურსში, დირექტორობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო 23 დირექტორობის მსურველმა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 11 აპრილის № 1225 ბრძანების საფუძველზე სამტრედიის 18 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოებს ასარჩევად წარედგინა დირექტორობის კანდიდატები. 10 ნომბერს არჩეულები ჩატარდა 17 საჯარო სკოლაში. ხოლო სსიპ ლაქ სამტრედიის № 15 საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს არარსებობის გამო არჩეულები არ ჩატარებულა; 16 საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭო არჩია დირექტორი. შედეგად, 2 საჯარო სკოლაში მოხდა სკოლის დირექტორის ცვლილება: სსიპ ლაქ სამტრედიის № 4 საჯარო სკოლაში დაინიშნა ნუგზარ კუცია და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშის საჯარო სკოლაში ციციონო ხაბალაშვილი. ხოლო № 11 საჯარო სკოლის დირექტორი დაინიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 20 იანვრის № 1/კ – 108 ბრძანების საფუძველზე."

# არჩეული მთავრობა დროა, გამოფხივლდეს

6064 ნაწილაკი


სს “საქართველოს რეინიგების” ინფრასტრუქტურის ყოფილი დირექტორი გიორგი გურგენიძე, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს პოლიტიკური ნიშნით რეინიგების თანამშრომლებს ათავისუფლებდა სამსახურიდან, დღეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ გვევლინება. ეს ერთ-ერთი მაგალითია იმის, რომ ჩვენი არჩეული მთავრობა იმ ხალხს მთავრობებს, რომლებიც ჩვენ გვდევნიდა და გვატერორებდა, კერძოდ, გურგენიძის ბრძანებით მომხსნეს სამსახურიდან 2012 წელს, წინასწარ არავინ იყო დარწმუნებული, ვინ გაიმარჯვებდა არჩევნებში. ამის გამო იძულებული გაგხდით, გამეფიდა ბინა და ბანკის ვალი გამესტუმრებინა, დაზარალებული გამოვედი მე და ეს ვაუბატონები დაწინაურებულები, ახლა გამაგებინეთ ვინმემ, ვის მივმართო სიმართლის გასარკვევად. სადაც შეილის საფლავეზე მამა მოკლეს, არის კი ამ ქვეყანაში, საერთოდ სამართალი... Fuck you თქვენ კოალიტაცია და სამართალიც...”

ეს პოსტი სოციალურ ქსელში ზაალ სტურუა რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნა, რომელსაც ბევრი ადამიანი გამოეხმაურა. იმას, რასაც რეინიგები განიცდიდა, გულგრილი არც სხვები დაუტოვებია. საზოგადოება ხშირად გამოთქვამს საყვედურს იმის გამო, რომ ადამიანები, რომლებიც ორი წლის წინ უსამართლობას სწადიდნენ, დღეს ისევ ინარჩუნებენ თანამდებობებს, უარეს შემთხვევაში, აწინაურებენ კიდევ. რაც შეეხება, კონკრეტულ პოსტს და კონკრეტულ

ულ წყენას...

ზაალ სტურუა სამტრედიის, ჭანტურიას მე-4 ჩიხში ცხოვრობს. 1995 წლიდან დასავლეთ საქართველოს რეინიგების ელმომარაგების სამმართველოში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. თავდაპირველად ელექტროსი იყო, ბოლო 12 წელია, ენერგოდისპეტჩერის პოზიციას იკავებს. თუმცა ამ ხნის განმავლობაში იყო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. კერძოდ, 2012 წლის 5 სექტემბერს სიტყვიერი განკარგულებით რეინიგების მანდელმა ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის დირექტორმა, გიორგი გურგენიძემ ზაალ სტურუა სამსახურიდან დაითხოვა. 19 სექტემბერს კი ოფიციალური ბრძანება დაწერა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტაზე.

ზაალ სტურუა სამსახურიდან გამეფებას პოლიტიკურ დევნას უკავშირებს: “ბოლო სამი არჩევნების დროს, კონკრეტულად 2008-ში საპრეზიდენტო და საპარლამენტო, 2010-ში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში №1 უბანზე ზედმედ გაიმარჯვა ოპოზიციამ. მე იმ უბნის კოორდინატორი ვიყავი “კონსერვატიული პარტიიდან”. ამდენად, ჩემი სამსახურის ხელმძღვანელობა არასაიმედო სუბიექტად მოვლიდა. სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გონა კერელიძემ იმდენი რამდენჯერმე “მირჩია”, პოლიტიკური აქტიუობა არ მქონდა. ამ გარიგებაზე რომ არ წავიდე, 2012 წლის ზაფხულის ბოლოს შემოთავაზებ 4 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით მივინებოთ წავსულიყავი გურჯაანში. გამომიწერეს მივლინება. მაშინაც ვთქვი და დღესაც ვიმეორებ, ასეთი მივლინებები იყო სისუ-



ლელე, ჩემს შემთხვევაში – მე ვასრულებდი სამტრედიის დისპეტჩერის მოვალეობას, ყოფილი ტერიტორიული სამმართველოს შენობაში. მივლინება გამოწერილი მქონდა გურჯაანის სამმართველოს ცენტრში საკონტაქტო ქსელისა და წვევის ქვესადგურებისა და სექციების სექციების დამუშავებისა და შედგენის მიზნით. ამ საქმეზე სხვა დროს უშვებდნენ ტექნიკური ნაწილის პერსონალს, რომლებსაც ევალებათ ზუსტად ის საქმიანობა, რაზეც მე მიმაგვლენდნენ გურჯაანში. რაც, კიდევ ვიმეორებ, ჩემს მოვალეობაში არ შედიოდა. მივხვდი, რა მიზანს ემსახურებოდა სამტრედიიდან ჩემი გაწვევა. ამ მიზნით მათთვის რამდენიმე პოლიტიკურად არასაიმედო რეინი-

გზელი მიაგვლინეს კიდევ გურჯაანში, საარჩევნო პროცესებს რომ ჩამოეშორებინათ. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში ვანმართელობის კუთხით დედა მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა. ამის გამო დავწერე განცხადება, მაგრამ ჩემი ოჯახური მდგომარეობა არ გაითვალისწინეს და 2012 წლის 19 სექტემბერს ოფიციალურად მომხსნეს”.

ზაალ სტურუა დღესაც იმაშია დარწმუნებული, რომ არა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება, იგი რეინიგაში თავს კი ვერ აღიდგენდა, დღეს ან ციხეში იქნებოდა, ან უკეთეს შემთხვევაში, ემიგრაციაში: “ჩემი განსხვავებული პო-

ლიტიკური შეხედულებების გამო შეიძლება, ბექა სტურუას, რომელმაც პოლიციის აუადემიამი კონკურსი გაიარა და გაიმარჯვა, უარი უთხრეს პოლიციაში მუშაობაზე”.

2012 წლის ოქტომბერში ზაალ სტურუას რეაბილიტაცია მოხდა და იგი თავის სამსახურს დაუბრუნდა. ერთი თვის ნაცდური ხელფასი მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ 1 ოქტომბერს ხელისუფლება დემოკრატიული გზით შეიცვალა, რაც მისი, როგორც რიგითი ამომრჩევლის მოთხოვნა იყო, ზაალ სტურუას თავისი შენიშვნები ამ ორი წლის განმავლობაში საჯაროდ ხშირად დაუფიქსირებია. თუმცა იმან, რაც რამდენიმე დღის წინ მისთვის ოფიციალური წყაროდან ცნობილი გახდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ზაალ სტურუა გოცბუღია, რომ პიროვნებები, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე თანამდებობებს იკავებდნენ და “ქართული ოცნების” მხარდამჭერებს სამსახურიდან უშინებოდ ათავისუფლებდნენ, დღეს უფრო მაღალი პოსტებზე ინიშნებიან: “ჩემი აზრით, ყოველივე ის, რაც სოციალურ ქსელში დავწერე და პირადად საქართველოს პრეზიდენტსაც მივწერე, მარაზმა და მეტი არაფერი. მე მარტო ჩემი საკუთარი პოზიციიდან არ გამოვდივარ, ნებისმიერ რეინიგებულს რომ ჰკითხოთ, რას უკეთებდა გიორგი გურგენიძე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე რეინიგებულებს, ვველა მათგანისთვის მოლოდინელი იყო მისი პრეზიდენტის აპარატში ხელმძღვანელ მუშაკად დანიშნა. ჩვენი არჩეული მთავრობა, დროა, გამოფხივლდეს, გურგენიძეს ნაირი ადამიანების ნდობა რომ არ შეიძლება”.

## სამტრედიის რეინიგებით უნდა იწონებოდეს თავს

ლევან გაგინაძე

თითქმის წელზე მეტი გადის მას შემდეგ, რაც “სამტრედიის მაცნეში” ღირსეული სამტრედიელის, ყოფილი ხელმძღვანელი მუშაის, ბატონი ვია ბოჭორიძის მეთად საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა, რომელსაც წერილების სერია მოჰყვა. პატივცემული ავტორი ნამდვილად დროულად სვამდა საკითხს იმის შესახებ, რომ სამტრედიას აღუდგეს ძველი, სარეინიგო კვანძის ფუნქცია და არგუმენტებით ადასტურებდა, თუ როგორი სიკეთის მოტანა შეუძლია ყოველივეს, როგორც სამტრედიის ინფრასტრუქტურის განვითარების, ასევე სამტრედიელების სოციალურ-ყოფითი პირობების გაუმჯობესების საქმეში. ამჯერად შეგნებულად არ განვიხილავ ავტორისეულ თუ ჩემეულ მოსაზრებებს, წერილებში დასმული საკითხის გადაჭრის აუცილებლობას რომ გაამყარებს. ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას, მაგრამ არა პირველად, სამტრედიის, როგორც დასახლებული პუნქტის არსებობა, ქალაქ სამტრედიის დაარსება ხომ სწორედ ერთ დროს გაუვალ ჭაობიან ადგილებში რეინიგების ხანის გაყვანას, შემდეგ კი რეინიგების ქსელის განვითარებას უკავშირდება.

გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან უკვე წარმოუდგენელი იყო რეინიგების გარეშე სამტრედიის არსებობა. თუ ფოთი პორტით, რუსთავი მეტალურგიული კომბინატით, სამტრედიის თავს ყოველმხრივ კანონიერად რეინიგებითა და ძველმოკლული რეინიგებულებით იწონებდა.

მერე ყველაფერი უკუსვლით წავიდა და...

თანდათან მივიწყებისკენა წასული ტერმინები: რეინიგების სკოლები, რეინიგების საავადმყოფო, რეინიგების პოლიცია, რეინიგების დასახლება, რაც იმანზე მიუთითებდა, რომ თუ რეინიგა სახელმწიფო იყო სახელმწიფოში, რეინიგა – სამტრედიის, ქალაქი იყო ქალაქში.

მისასაღმებელია ცნობილი ადამიანების, ღირსეული სამტრედიელების გამოხმაურება ბატონ ვია ბოჭორიძის წერილებზე, მაგრამ ვსარგებლობთ გამოხატვის მონიჭებული უფლებით და ვიტყვით იმას, რასაც ვფიქრობთ:

სახელმწიფო მოხელეთაგან სიტყვით მაინც რატომ არავინ გამოეხმაურა წერილებს?

ნუთუ ქვეყნის, რეგიონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის ყელზე დადგარი ლუკმა, ზე-

დმეტი იქნება რეინიგების აღორძინების შედეგად მიღებული თანხები?

განა ისევ და ისევ ჩვენი დების, ძმების, მეზობლების, ქალაქელების ოჯახებზე არ მოახდენს ყოველივე კეთილ გავლენას?!

ზედმიწვევით ყურადღებით ვეცნობოდი ბატონი ვია ბოჭორიძის ვეგელა წერილს, იმ პათოსს, რომლითაც ნკარნახევი იყო თითოეული მოსაზრება, ამდენად, დარწმუნებული ვარ, რომ ვია ბოჭორიძის მიზანს იმ “მამლის როლში” “ყოფნა კი არ შეადგენდა, რომელიც ყივის, რათა მოვალეობა მოიხადოს, არამედ სურდა და სურს პატრიოტ კაცს, რომ მიხნობრივად, დროულად გამოვიყენოთ რეინიგების ნაწილობრივი არსებობა სამტრედიის და ძალისხმევა არ დავიშუროთ, რათა სამტრედიის სარეინიგო კვანძის ფუნქცია დაუბრუნდეს.

საქმიანი, საინტერესო და დროული წინადადებებისათვის, როგორც რიგითი სამტრედიელი, უდრემს მაღლობას მოვასხენებ ბატონ ვია ბოჭორიძის ვიტოვებით იმედს, რომ ის ადამიანები აუცილებლად გამოეხმაურებიან მას საქმით, რომლებმაც უდიდესი მისიის შესრულება აიღეს საკუთარ თავზე – იყვნენ სამტრედიისა და სამტრედიელებისთვის კეთილ საქმეთა კეთილსა დაუბრუნდეს.



## დასავლეთის სალიანდო სამმართველოს ახალი უფროსი ჰყავს

ბავშვობა რეინიგების სიახლოვეს გაატარა. ე. წ. “მანიშევის პერიენტონ” კორპუსში იზრდებოდა და მატარებლის ვუკუნი იაენანასავით ჩაესმოდა. ბათუმელი ბიჭისთვის საპორტო ქალაქი უფრო ცოტა იყო, ვიდრე სარეინიგო და ამდენად, გემის კაპიტნობასაც რეინიგებლობა არჩია. ამაში მამის საქმიანობა დაეხმარა.

ბადრი ლომაძე 1960 წლის 6 იანვარს ბათუმში რეინიგების ოჯახში დაიბადა. ქალაქის 23-ე საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და ბათუმის სალიანდაგო დისტანციაში, ხელოვნურ ნაკებობებში მუშად მოეწყო. მამის კადრების უფროსობა ახალგაზრდა კაცისთვის მარტო პრივილეგია არ ყოფილა, უფრო მეტიც, თვლიდა, რომ ოჯახის უფროსის ავტორიტეტი კოლექტივში მისი კარგი საქმიანობით უფრო უნდა აემაღლებინა.

1977 წელს საქართველო დატოვა და როსტოვში, რეინიგების ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. ბათუმში იქვე გაიცნო მომავალი მუდღე. დიპლომით დაბრუნებულმა ისევ სალიანდაგო დისტანციას მიაშურა და თავდაპირველად ბრიგადირად, შემდეგ ოსტატად დაიწყო მუშაობა. წლების შემდეგ მოადგილის პოზიცია დაიკავა, ბოლოს ბათუმის სალიანდაგო დისტანციის უფროსის მოვალეობასაც ასრულებდა. როცა ეს უკანასკნელი ორად გაიყო, აჭარა და გურია ცალ-ცალკე გავიდა, როგორც გამოცდილი კადრი, ბადრი ლომაძე გზის ხელმძღვანელობაში გურიის სამმართველოს უფროსად დანიშნა. სულ ახლახან საქართველოს გზის ხელმძღვანელობაში ბადრი ლომაძე სამტრედიის მთავრობის მოადგილედ დაინიშნა. “წლების განმავლობაში ვმუშაობდი დასავლეთ საქართველოს აჭარისა და გურიის სამმართველოების უფროსებად. კარგად ვიცნობ ორივე სამსახურის სპეციფიკას, იქაურ სტრუქტურას. 2014 წლის 15 დეკემბერს დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს უფროსად დავინიშნე. სამტრედიის ოფისთანვე საკანონო ქალაქი იყო, საქმიანად დიდი კოლექტივითა და ინფრასტრუქტურით, დღეისთვის 1200 თანამშრომელი მყავს. ნამდვილად სასიამოვნო გარემო დამხვდა. ჩემს წინამორბედზე კარგის მეტს ვერაფერს გეტყვით. ყველა მათგანი გამოცდილი რეინიგული იყო”. – ახე გვიხანსაითებს ბადრი ლომაძე დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს დღევანდლობას და წარსულს.

ახალი უფროსი “სამტრედიის მაცნესთან” რეინიგაში მოსალოდნელ შემცირებებს კატეგორიულად გამოირიცხავს. საკმაოდ ოპტიმისტურია, როცა საქართველოს რეინიგების ხვალისდელ დღეზე საუბრობს: “მჯერა, რეინიგა კვლავ დაიბრუნებს იმ პრივილეგიებს, რაც წარსულში ჰქონდა და განასხვავებდა სხვა პროფესიის ადამიანებისგან. რაც შეეხება ჩემს კოლექტივში მოსალოდნელ შემცირებას, ნუთავის შეშინდება, მსგავსი არაფერი იგეგმება”.



# თავის გაბორონის მიხედვით პრინციპი მისი ნაკეთები საქმე იყო

## ამთავარ ჩაქვით

თქვით ხელი აქვს, – იტყვოდნენ სოფელში სვიმონ თაბაგარი. შრომისმოყვარე მკვლელს ერთადერთი სიმდიდრე შეიძლება იყენებოდა, მუდღესთან, ოღონდ კენჭოვანი ერთად მართლად და პატიოსანად ადამიანებად რომ ზრდიდა. ანეო თაბაგარმა მშობლებს ამაგი დაუფასა – შრომა და სწავლა შეიყვარა, მიხვნი მისაღწევად სიძულეებს არ უმინდებოდა. ბორჯომში, სატყეო ტექნიკურში სასწავლებლად წასულს, მგზავრობისას, დედის მიერ ხის ჩემოდანში ჩალაგებული სურსათ-სანოვაგე რომ გაუფუჭდა, გულზე ხელები არც მაშინ დასკრფოდა, უფულოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი კარდაკარ დადიოდა, შემას ჩეხავდა და თავი ამით გაპქონდა.

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პარალელურად ჭიათურის რაიონის სოფელ სარქველეთუბანში, სადაც ის ცხოვრობდა, მალაროში ამწმენდად მუშაობდა. სატყეო ტექნიკურში სწავლის დროს ბორჯომის რაიონული კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს განხეთის – “ბოლშევიკური ტემპით” საკუთარ კორესპონდენტად აიყვანეს.

ტექნიკურის დამთავრებისთანავე სპეციალობით სამუშაოდ უკრაინაში გაანაწილეს. კოვლის რეინიგების სადგურ რონის რაიონული საწარმოს სასაბჭოე მეურნეობის ოსტატი, შემდეგ უფროსი იყო. 1952 წელს ბატონი ანეო, იგივე აპოლონ თაბაგარი საქართველოში ბრუნდება და სწავლას თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აკრძალეს. სატყეო მეურნეობის ინჟინრის დაბლობით იგი სამტრედიამი ჩამოდის და ამიერკავკასიის რეინიგების ქარსაცავ ნარგავთა სამტრედიის სარაიონ დისტანციაში ინჟინრად იწყებს მუშაობას, იყო უფროსი ინჟინერი და დისტანციის უფროსი.

ამავე პერიოდში იგი სამტრედიელ ზინაიდა ნიკოლეიშვილზე ქორწინდება. ქალბატონი ზინაიდა 33 წლის მანძილზე ამიერკავკასიის რეინიგების სადგურ სამტრედიის უფროსი მოლარე იყო, გამორჩეული ადამიანებისადმი ყურადღებანი დამოკიდებულებით.

1968 წელს ბატონი აპოლონ თაბაგარი სამტრედიის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის უფროსად ინიშნება. საქმის გულიანი მკეთებელი კაცი მაშინვე გამოარჩიეს და სამტრედიის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ბევრჯერ იქნა დაჯილდოებული მედლებით. ეკავა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაც.

“საოცრად შრომისმოყვარე და პასუხისმგებელიანი მუშაი იყო. მის ფუნქციებში ქალაქის დასუფთავება და მოწესრიგება შედიოდა. დილით ადრე თავის მუშებთან ერთად გამოდიოდა ქალაქში. როცა რაიმე დაავლებას მისცემდი და 2 დღეში უნდა გააკეთოთო, ეტყობოდა, დღე-ნახევრით ადრე უკვე ანგარშს გაბარებდა. ზედმეტი საუბარი არ უყვარდა, თავის გამოჩენის მისეული პრინციპი მისი ნაკეთები საქმე იყო. მართო მე კი არა, მას ვეველა დადებითად აფასებდა სამტრედიამი”. – გვიხსიათებს ბატონი აპოლონის ყოფილი რასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ბორის ფოცხვერაშვილი.

იგი არც თანამშრომლებთან უხვსიტყვაობდა. მუდამ მოწესრიგებული და აკურატული, საკუთარი თავისადმი მომთხონე, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას ვერც სხვებისგან ვეუბოდა. შში არა, მისი რიდი ჰქონდა.

ლამზირა ოჩხვიციანი 19 წლის იყო, ბატონმა აპოლონმა კომუნალურ საწარმოთა კომბინატში ბუღალტრად რომ მიიღო. იგი დღესაც აქ მუშაობს. ყოფილ უფროსთან მასაც კარგი მოგონებები აქ-

ავშირებს: “ძალიან თბილი, ყურადღებიანი, ერუდირებული ადამიანი იყო. დილით 4-5 საათზე მუშებთან ერთად გამოდიოდა. არ მახსოვს, ვინმესთან უთანხმოება ჰქონოდა. შენიშვნა ჩემთვის არასდროს მოუყვია. მისგან წყენა არავის ახსოვს. ჩვენც პატივს ვცემდით. ძალიან კარგი კაცი იყო”.

“თავგადადებული იყო რაიონისთვის, – ჰყვება აპოლონ თაბაგარზე გიგანტი ბიბლიევიშვილი, – ძალიან მორგებული თანამდებობაზე. იმ პერიოდში მე რაიადმასკომის საგემო კომისიაში უფროს ეკონომისტად ვმუშაობდი. მამაჩემის მოსახელე იყო და ეს კიდევ უფრო განმაცხოვრებდა მისადმი პატივისცემით”.

ბატონმა აპოლონ თაბაგარმა, ჭიათურელმა კაცმა თავისი პიროვნული თვისებებით, უბრუნებელი, ნაბიჯ-ნაბიჯ იარა და სამართლიანად დაიმკვიდრა თავი სამტრედიამი.



ბატონი თაბაგარი (მარჯვნივ)

მისი შვილებისთვის, მანანასა და თენგიზისთვის მამა დღესაც, მისი გარდაცვალების შემდეგაც, სათაყვანებელი ადამიანია. “თუ რამ კარგი გვახსიათებს მე და ჩემს დას, ეს ჩემი მშობლებისაგან გვაქვს”. – გვეუბნება ბატონი თენგიზი.

მამა შვილებისთვის კარგი მაგალითი იყო, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი დირსულად. მამინაც მაგალითი იყო, სოფლისაგან მანქანით მიმავალმა, წვიმაში გზის პირას მსხდარ სოფლის გამყიდველ გოგობიჭებს ფული რომ გადაუხადა და სოფო არ გამოართვა. ეს ბავშვები ცხოვრებაში ივარგებნენ, – უთქვამს იმ პატარების შრომისმოყვარეობით მოზიბლულს შვილებისთვის.

თვითონ თავს ეკლებოდა მათ. არა მართო მშობელი, მანანასა და თენგიზისთვის კარგი მეგობარიც იყო. არაფერს აკლებდა, მაგრამ ცდილობდა, შრომის აუცილებლობაში ისინიც დაერწმუნებინა. ამიტომ, საჭიროების არ არსებობის მიუხედავად, საკმაოდ ვრცელ ფართობზე სიმინდი დათესა და ყანას შვილებთან ერთად უვლიდა.

არც ერთი არ ვგავართ, – ამბობს თენგიზ თაბაგარი და მამისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს ამით კიდევ უფრო უსვამს ხაზს. ყურადღებას ამახვილებს მასზე, როგორც ძალიან პუმანურ და კეთილშობილ ადამიანზე, რომლის ხმამაღალი სიტყვა, არც სახლში და არც გარეთ არავის გაუგია.

არ ახსოვს, მამა სამსახურიდან სახლში ადრე მოსულიყოს, თუმცა, ოჯახზე მის მზრუნველობას ყოველთვის გრძობდნენ და ხელაფინენ. “დაიცა”, იტყოდა კრიტიკული სიტუაციაში და ნებისმიერ უკმაყოფილებასა და გაუგებრობას მისეული სიბინჯით ართმევდა თავს.

სამსახური და ოჯახი – ორი აუცილებელი და მნიშვნელოვანი რამ იყო აპოლონ თაბაგარის ცხოვრებაში. ნებისმიერ სიტუაციაში იქ იდგა, სადაც კი მის ქალაქს დასჭირდებოდა. ყვეთელ, წყალგაუმტარ ლაბადასა და მონადირის ჩექმებში გამოჩნობილი კომუნალურ საწარმოთა კომბინატის უფროსი ხშირად უნახავთ ქალაქში, მოსახლეობას წვიმიან ამინდში პრობლემები რომ არ შექმნოდა.

“რა თქმა უნდა, პარტიული დავალებაც იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შორა რევიშვილი, იური გოგია, ნოდარ გოგობერიძე, სულიკო ნინუა, შოთა კვიციანი, ამირან ბახტაძე და სხვები, ისე როგორც მამაჩემი, საქმეს ნამდვილად გულით აკეთებდნენ. სხვაგვარად მათ ვერც წარმოედგინათ. სასტუმროს შენობა, რომელშიც დღეს დღეინილები ცხოვრობ-

ენ, გადაუჭარბებლად შემოიღოა გითხრათ, რომ სწორედ მამაჩემის აქტიურობით აიგო”. – განმარტავს თენგიზ თაბაგარი.

ბატონი თენგიზი პროფესიით მშენებელი ინჟინერია. მან უმაღლესი განათლება ვირგიზეთში მიიღო. მუშაობდა კულაშის სადაბო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის უფროსად, ნაბაკეის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, სამტრედიის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქტორად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაზღვევის მთავარი სამმართველოს მშენებლობისა და სამეურნეო განყოფილების უფროსად, საქართველოს კონტროლის პალატის ქვემო ქართლის რეგიონის უფროს რევიზორად, ჯგუფის ხელმძღვანელად; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის სამტრედიის ფილიალის უფროსად, ექსპერტად; იყო იმერეთის სამხარეო ანტიკორუფციული საბჭოს წევრი, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ანალიტიკური განყოფილების უფროსი. ამჟამად აუდიტორულ საქმიანობას ეწევა. მას 4 შვილი და ერთი შვილიშვილი ჰყავს. ქალბატონი მანანა კი ექიმია, 4 შვილის დედა და 4 შვილიშვილის ბებიია. ბატონი აპოლონი შვილიშვილებისთვისაც სათაყვანებელი პიროვნება იყო.

ორი კუთხის სიყვარული გაიყოლა აპოლონ თაბაგარმა იმ ქვეყნად – ჭიათურისა და სამტრედიის. თბილისში შვილებთან სტუმრად ჩასულს გული მაშინვე სამტრედიისკენ მოუწვევდა, რადგან აქ ყველა იცნობდა და სხვაგვარ ღიმილიან საღამოსაც არ იშურებდნენ მისთვის.

ცდილობდა, ცხოვრებისგან მიეღო ის, რაც ერთ დროს ძალიან აკლდა. ყველაფერს სამართლიანობის პოზიციიდან აკეთებდა. საკუთარი კარიერისთვის ვინმეს გადათელვას სხვას კი არა, თავს ვერ აპატიებდა. სურდა, შვილებს დამოუკიდებლად მიეღწიათ ყველაფრისთვის, ამიტომ არ ერეოდა მათ ცხოვრებაში და

ხურიდან წასვლის და მისი კულამის კომუნალური საწარმოთა კომბინატის უფროსად დანიშნა რომ იხილებოდა, მინისტრის მოადგილისთვის, ალექსანდრე ქვათარაძისთვის უთქვამს: მე კი მივიღივარ, მაგრამ შეივს ვიტოვებთო. მინისტრის მოადგილეს უხუმრია: შენ კი გაასწარი, აპოლონ, მაგრამ ამ ახალგაზრდას რას ერჩიო.

უხაროდა, ვაჟი რომ გვერდით ჰყავდა. უნდოდა, სულ ასე ყოფილიყო. ამიტომ დიდხანს ვერ შეეგუა, ბატონი თე-

“აპოლონ თაბაგარი მეუღლესთან და შვილებთან ერთად



ბატონი თაბაგარი (მარჯვნივ)

არც არავის აწუხებდა მათ გამო. როგორც ბატონი თენგიზი იგონებს, მხოლოდ ერთხელ იყო თურმე, თბილისში, სამინისტროს კოლეგიაზე, მამის სამსა-



აპოლონ თაბაგარი მეუღლესთან და შვილებთან ერთად

ხურიდან წასვლის და მისი კულამის კომუნალური საწარმოთა კომბინატის უფროსად დანიშნა რომ იხილებოდა, მინისტრის მოადგილისთვის, ალექსანდრე ქვათარაძისთვის უთქვამს: მე კი მივიღივარ, მაგრამ შეივს ვიტოვებთო. მინისტრის მოადგილეს უხუმრია: შენ კი გაასწარი, აპოლონ, მაგრამ ამ ახალგაზრდას რას ერჩიო.

უხაროდა, ვაჟი რომ გვერდით ჰყავდა. უნდოდა, სულ ასე ყოფილიყო. ამიტომ დიდხანს ვერ შეეგუა, ბატონი თე-

ნგიზი თბილისში რომ გადავიდა საცხოვრებლად. ამჯერად იგი სამტრედიამი და აუდიტორულ შემოწმებას უწევს მუნიციპალიტეტის მთელი რიგ სამსახურებს. ჩვენთან კი იმ ნოსტალგიაზე საუბრობს, სამტრედიისა და სამტრედიელელების მიმართ რომ აქვს.

ალბათ, ახლაც ამაყებდა მამა შვილით, როგორც მამის, მიწისძვრისაგან დაზარალებულ მათ სოფელში, სარქველეთუბანში სამინისტროდან შესამოწმებლად

ლოიური ქალაქი, – გვარწმუნებს თენგიზ თაბაგარი, – სადაც დავიბადე, ბავშვობისა და სკოლის უბედნიერესი წლები გავატარე. ცხოვრებამ მოიტანა და 43 წლის წინ, 1972 წელს, როდესაც სწავლის გასაგრძელებლად გავემგზავრე ვირგიზეთის ქალაქ ფრუნზეში, ახლანდელ ბიშკეკში, ფაქტობრივად, მომიხდა სამტრედიის დატოვება. ალბათ, გამოგებთ, თუ რაოდენ სასიამოვნო და ემოციურია ჩემთვის, როდესაც დღეს, ამდენი წლის შემდეგ, არა მარტო ჩემი თაობის ადამიანებთან შეხვედრისას, ვგრძნობ მათ სითბოსა და სიყვარულს. ვხვდები, რომ აქ ჯერ კიდევ ბევრს ვახსოვარ. უფლის მადლობელი ვარ, საშუალება რომ

მომიცა, სამსახურებრივი კუთხით ჩამოვსულიყავი. შეხვედროდი ჩემთვის ძვირფას ადამიანებს, ცოტა ხნით მეცხოვრა ამ ქალაქის რიგში, კვლავ შემეგრძნო მისი გულისცემა და სამტრედიელობის მადლი.

ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ შევძლებ, ჩემი მოგონებები გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენებას რაიონის სასიკეთოდ. მერწმუნეთ, რომ თითოეული სიტყვა გულის სიღრმედანაა ამოსული და პათეტურად ნუ ჩამითვლით”.

## STOP C “ქეითდენტის” აქციას შეუერთდა

### 60601 ნაწილთაშვილი

სოსო თავაძემ პაციენტს ანტიბიოტიკი “აზიმიკი” რომ დაუნიშნა, კიბლის ტკივილით შეწუხებულმა ახალგაზრდა მამაკაცმა მამის კი ვეღარ დამალა და გამოუტყდა ექიმს, რომ მას

ლევდიის პრობლემა ჰქონდა და აღნიშნული პრეპარატის მიღება მისი დაავადებისადმი რაიმე გართულებას ხომ არ გამოიწვევდა.

“ეჭვი თავიდანვე შემეპარა, რადგან პაციენტის პაბიტიუსი არ მომეწონა. მისი ზედმეტი სიყვილილე ღვიძლის პრობლემებზე მეტყველებდა.

თავიდანვე დავესვი შეკითხვა, ღვიძლის რაიმე დაავადება ჰქონდა თუ არა გადატანილი. მან უარი მითხრა. არ მინდა, სხვა პაციენტები დავაშინო. ჩემი კლინიკის ექიმი-სტომატოლოგები ნებისმიერ პაციენტს, გულახდილს თუ არაგულახდილს, ასეპტიკისა და ანტისექტის სრული დაცვით ვემსახურებით. უხეშად რომ გითხრათ, მათთან მანიპულაციებს ჩვენ ვახდენთ ერთჯერადი იარაღებით. ამდენად, თავს ვი-



სოსო თავაძე (მარჯვნივ) აქციის მონაწილეებთან ერთად

და”. – გვიამბობს სტომატოლოგიური კლინიკა “ქეითდენტის” ქირურგი-სტომატოლოგი სოსო თავაძე.

დაავადების გაახალგაზრდავებამ და მასშტაბებმა მსოფლიო შესძრა. C ჰეპატიტი უდგინდება როგორც არაჯანსაღი ცხოვრების წესით მცხოვრებ ადამიანებს, ასევე ბავშვებსაც. განსაკუთრებული რისკ-ფაქტორი არსებობს თავად სამედიცინო დაწესებულებებში. ამ უკანასკნელში ლიდერობს სტომატოლოგი-

ური მანიპულაციების შედეგად გამოწვეული შემთხვევები.

“ქეითდენტის” დამფუძნებელი ქეთევან ჰაპავა ამჟამად, რომ საკუთარი კლინიკის დაარსებიდან 18 წლის განმავლობაში არც ერთი შემთხვევა ჰქონია, მასთან ვინმის შემდეგ პაციენტს მსგავსი რამ დამართოდეს: “ჩვენ, ექიმი-სტომატოლოგები, სამწუხაროდ, ხშირად ერთ ტაფაში ვიწვით, როცა რომელიმე ვაისტომატოლოგიის მიერ

დამუშავებული შეცდომა პაციენტისთვის ტრავმული ხდება. ხოლო ექიმი – პოტენციური მკვლეელი. მიუღო ჩემი სამედიცინო პერსონალით შეგუებული ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგაქიანის ინიციატივას, 2015 წლის C ჰეპატიტთან ბრძოლის წლად გამოცხადებას. აქვე მოუწოდებთ ყველა ექიმს, არა მხოლოდ სიტყვებით, საქმით და-

ვიცავთ პაციენტის უფლებას, უზრუნველყოთ მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოება”.

20 იანვარს “ქეითდენტის” სტომატოლოგიური კლინიკაში ექიმებმა ხელის გულზე გაიკეთეს წარწერა STOP C, რითაც გამოხატეს სოლიდარობა და მზადყოფნა იმისათვის, რომ მათთან შესული პაციენტი დაზღვეულია ყოველგვარი ინფიცირებისაგან.



### 8 თეოკრატიული ღვთისმშობლის ხსენების დღე!

**“ვის ნაჭარმაგვეს მეფენი შეიღინევი პურად დამესხეს, თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა ვარე გამესხნეს, თეფნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს, აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულჩედა დამესხნეს”.**

არსნ იმადლიძე



მანამ არანახული, უსაჩინოესი ზედწოდებით დაივიანა საქართველოს ისტორიაში დავით IV აღმაშენებელმა.

1101-1103 წლებში მეფემ კახეთი და პერეთი საქართველოს შემოუერთა, ამით ფაქტობრივად დასრულდა საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი და შეიქმნა საქართველოს ერთიანი, ძლიერი ფეოდალური მონარქია.

1122 წელს მეფემ საქართველოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა. თბილისელ მაცხოვრებლებს, ებრაელებს, სომხებს, სხვა ერის შვილებს დავითმა უწევდა ცხოვრების, მათი სარწმუნოების ხელშეწყობის პირობა მისცა, მთელი რიგი შეღავათებიც დაუწესა, რათა მათ თავისუფლად განეგრძოთ ქალაქში მშვიდობიანი ცხოვრება და საგაჭრო საქმიანობა.

თუ ვერობა ოცდამეერთე საუკუნეში ალაპარაკდა ტოლერანტობაზე, როგორც ჩანს, ქართველებს კანონიერად შეგვიძლია ვიამაყოთ და თავი მოვიწონოთ იმით, რომ ჯერ კიდევ საუკუნეთა წინათ გამოამყვანა ქართველმა მეფემ ტოლერანტობის, ქრონულ-რელიგიური უმცირესობათა არნახული შემწინარეობის სურვილი და მისწრაფება, რაც მალევე, მისსავე მეფობაში რეალობად იქცა. მეფე დავით აღმაშენებლის სახელს

უკავშირდება საქართველოში რეგულარული ჯარის, მუდმივი მხედრობის ჩამოყალიბება, რამაც მნიშვნელოვანი, სასიყვითო გარდატეხა მოახდინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

ძალისხმევა ქალაქების, დაბა-სოფლების, ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობისათვის, კულტურულ-საგანმანათ-

ლებლო, საქველმოქმედო საქმიანობა, საეკლესიო რეფორმა – რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, ღარიბ-ღატაკთა, ქვრივ-ობოლთა განვითარება... დავით მეფის ყოველდღიური საზრუნავის შემადგენელი ნაწილი იყო.

სისხლისაგან დაშრეტილი, საზღვრებშიშლილი საქართველო, აღმაშენებლის წყალობით ისეთ ერთიან, მძლავრ, აღორძინებულ სახელმწიფოდ გადაიქცა, რომ ქართველი მეფის გვირგვინის წინაშე მამინდელი მსოფლიოს უზარმაზარი იმპერიის მმართველებიც იყრიდნენ მუხლს.

16 წლისა გამეფდა 32 წელი მორტყმით იმეფა და მისი მეფობის არც ერთი დღე არ ჰკავდა მტორეს.

სიცოცხლეშივე მოიხვეჭა მეფემ ხალხის განუზომელი სიყვარული და პატივისცემა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ აღმაშენებლის დიადი ზედწოდებით შეიძინა. ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა დამამრავლი მონარქი და 8 თებერვალს მისი ხსენების დღეს აღნიშნავს.

საუკუნეები გვაშორებენ აღმაშენებლის ეპოქასთან, თუმცა, მის ნამუშავეზე, ნააზრევზე კვლავ იზრდებიან და მომავალშიც არაერთი თაობა გაიზრდება.

52 წლისა აღესრულა აღმაშენებელი (1073-1125 წ. წ.).

ანდერძის თანახმად, მისივე ძალისხმევით აგებული გელათის მშვენიერი ტაძარის გალავანთან განისვენებს იგი, ვალდებულნი და დამამრავლო.

მარადიული ნათელი ჰმოსავს მის საფლავს.

ლევან ბაქრაძე

### გმიგოლ ხანძთელი – დიჭხი ენის ძე

**“ყოველი ერი ზეცისა და ქვეყნისაი დღეს აღამალელებენ ჯუარსა და იშუებენ ქებით მორწმუნენი. მოვე, უფალო მეფესა ჩვენსა მორწმუნესა ძლიერი საჭურველი და დაამხე სიმრავლე ბარბაროზთაი!”**


ბრძოლ ხანძთელი

სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის გამრჯე ბრძენი მამა – გრიგოლ ხანძთელი VIII-IX საუკუნეების გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მან მიხნად არაბთაგან ავაგქმნილი ქვეყნის აღორძინება დაიხსნა და ამ საქმეს შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. ხორციელი აღდგენისათვის ბრძენმა მამამ სულიერად აღადგინა ქვეყანა. მის მიერ აგებულ ტაძრებში: ხანძთაში, შატბერდში, ოშკში, ხახულში... დიდი საღვთისმეტყველო, სამეცნიერო, კულტურული საქმიანობა მიმდინარეობდა.

თავისი მოღვაწეობით გრიგოლ ხანძთელმა ყოველ ქართველს შეაგებინა, რომ ისინი არიან ბატონ-პატრონი თავიანთი ქვეყნისა, მხოლოდ მათ ძალისხმევას ძალუქს სამშობლოს გადარჩენა, რათა შთამომავლობამ ამაყად თქვას: “ქართლად ფრიადი ქვეყანა აღორძინების, საცა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების!”

ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ეკლესიამ გრიგოლ ხანძთელი წმინდანად შერაცხა და ამ დღეებში მისი ხსენების დღეს აღნიშნავს.

ლევან ბაქრაძე



### კულოცავთ!

იხივ იმ სოცსოციოლი...

მისი პირველი წერილი “სოციალისტურ შეტყვაში” მაშინ დაიბეჭდა, როცა ნიგორზღვის სკოლის წარჩინებული, აქტიური მოსწავლე იყო. ცენტრალურ ახალგაზრდულ გამოცემებთანაც თანამშრომლობდა, თუმცა, როგორც ძვირფას რელიკვიას, დღემდე ჯიბით ატარებს გაზეთის მამინდელი თავკაცის მიერ გაცემულ მოწმობას, რომელიც ადასტურებდა, რომ ბორის კახიანი განუთ “სოციალისტურ შეტყვას” შტატგარეშე კორესპონდენტი იყო.

ბერი რამ შეიცვალა მას შემდეგ. ორჯერ გადაინათლა გაზეთი, იმ პირველი წერილიდანაც 7 ათეულ წელზე მეტი გავიდა, თუმცა არ შეცვლილა ის სიყვარული და პატივისცემა გაზეთისადმი, მისი შემოქმედებითი ჯგუფისადმი, ბატონ ბორის რომ აკავშირებდა და აკავშირებს რედაქციის უფროსი და შემდგომი თაობის თანამშრომლებისადმი.

მოწინებთ იგონებს ის უკვე გარდაცვლილ ჟურნალისტებს: ვალერიანე მეგრელიშვილს, ჟორჯი ჯანჯღავას, ვასო ხაბეიშვილს, აკაკი კობრეიძეს, ანზორ გრიგოლიას, ოთარ ნაფცვარიძეს, შოთა მალაყაყაიძეს, სოსო ხაფალიას...

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ბორის კახიანი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის იანეთის დასაფრდენ პუნქტს ხელმძღვანელობს. ამ ერთი შეხედვით მცირეკონტინენტთანამა სამეცნიერო პუნქტმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში მთელი რიგი დარგების აღორძინების, პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში. მეცხოველებებისათვის მტკიცე საყვები ბაზის შექმნაში და ა. შ.

სწავლული აგრობიოლოგი, ჩვენი გაზეთის ერთგული, ნაცადი მეგობარი, სამშობლოზე, ოჯახსა და მოყვანზე ქართულ ტრადიციებზე შეყვარებული კაცი, ბატონი ბორის კახიანი იუბილარია, 80 წელი ჩამომიარცვლა მისი ცხოვრების კრიალოსანზე, ღირსულად განვილი 80 წელი.

“სამტრედლის მაცნე” პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს იუბილარს 80 წლის შესრულებას, წელთა სიმრავლესა და უფლის წყალობას უსურვებს მას.

ლევან ბაქრაძე



### “სიმღეხა ჩემი სუნი, გუნი, მთელი სამეყხი”

ნათიას ნახვლიძე

ქართული ხალხური შემოქმედების მიმოხილვით მარგალიტებს რუდუნებით აგროვებენ, მოსწავლეებს ასწავლიან და წინაპართაგან შემონახულ საუნჯეს თაობიდან თაობას გადასცემენ ქალბატონები მადონა კობრეიძე და მერი ტკეციციანი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული განყოფილების პედაგოგები. მრავალი წელია წარმატებულად მოღვაწეობენ მოსწავლეთა ინსტრუმენტული ანსამბლი “ჩანგი” (ხელმძღვანელი მერი ტკეციციანი) და ფოლკლორული ანსამბლები “ალილო” და “დილილი” (ხელმძღვანელი მადონა კობრეიძე). ამ ანსამბლის პატარა მომღერლებს ხშირად იხილავთ როგორც მუნიციპალიტეტში გამართულ კონცერტებზე, ისე სხვადასხვა ქალაქის სცენებზე.

მერი მასწავლებელი მოსწავლეებს ძალიან უყვარს, პედაგოგი მათთან ერთად ასრულებს მუსიკალურ ნომრებს, რაც განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ანსამბლის შემოქმედებით ცხოვრებას.

ქალბატონი მერი ჩუმი, თავმდაბალი, არაამბიციური პიროვნებაა. ის შესანიშნავად ანაწილებს ენერჯის როგორც შემოქმედებით მოღვაწეობაზე, ისე ოჯახურ საქმეებზე. მუსიკალური ოჯახის ენერჯული დასახლის რედაქციაში მოვიწვიეთ, რათა უფრო ახლოს გაგვეცნო.

სიმღერა მამამ შეაყვარა და ფანდურზე დაკვრა ასწავლა. ხელი თანდათან რომ დაეხვეწა და სასიმღერო რეპერტუარი გაემდიდრებინა, ბებამ, ნუნუკა ხუჭუამ ბადრი კვანტალიანიან მიიფიქანა. ბატონი ბადრი სამხატვრო სკოლის დირექტორი იყო და ხალხურ საკრავებზე დაკვრას ასწავლიდა.

ლექტორი, ღვაწლმოსილი პიროვნება დავით ქავთარაძე ხელმძღვანელობდა. ასევე იყო კვინტეტ “აისის” წევრი, ამ ჯგუფის წევრები მხოლოდ ინსტრუმენტებზე უკრავდნენ.

მამის გარდაცვალების გამო მერიმ სამტრედიაში ჩამოსვლა გადაწყვიტა. მისმა ლექტორმა დავით ქავთარაძემ ურჩია, თავის რაიონს დაბრუნებოდა, ხალხურ საკრავებზე დაკვრა ბავშვებისათვის იესწავლებინა და ქართული ფოლკლორის სამსახურში ჩამდგარიყო. მუშაობა

2007 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დაიწყო, პარალელურად მოიხონა მოვიდა დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლიდან, პედაგოგი ხელმძღვანელებით აიყვანეს და თუ მოიწონებდნენ შტატშიც აიყვანდნენ. 2 წელია, ქალბატონი მერი დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ქართულ ხალხურ

საკრავებზე: ფანდურსა, სალაშქრზე, ჩონგურზე, ბას-ფანდურსა და სხვა ინსტრუმენტებზე დაკვრას ასწავლის. ის კულტურის ცენტრში არსებულ ქალთა ანსამბლ “ათინათშიც” მღერის. ნდობის გამოცხადებისათვის მადლობას კულტურის ცენტრის დირექტორს, რეჟისორ ვეფხია ნადირაძეს უცხადებს.

ანსამბლები “ჩანგი” და “ალილო” მუნიციპალიტეტში ერთობ პოპულარული არიან. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ეს ორი ანსამბლი 2008 წელს დაარსდა. პედაგოგი დამსახურებებზე საუბრობს: “მივიღია მონაწილეობა საქველმოქმედო ღონისძიებებში, გვექონია გასვლითი კონცერტები ბათუმში, ხობში, ფესტივალ “არტ-გენის” ფინალში მონაწილეობის მისაღებად მიგვიწვიეს “ჩანგი” და ალილო”. ჩვენ განუ



ყრელი მეგობრები ვართ, ყოველთვის ერთად ვატარებთ კონცერტებს, წლის ბოლოს საანგარიშო კონცერტები გვაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ მადონა კობრეიძეს, ანსამბლ “ალილოს” ხელმძღვანელს, კულტურის ცენტრის ფოლკლორული განყოფილების გამგეს და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს დიდი მხარდაჭერისათვის. ქალბატონი მადონა ვეფხია კარგი საქმის ინიციატორი და ორგანიზატორია, მას შესაძლებელი და ორგანიზატორია, მას შესაძლებელი და გამძლეობას, ისეთი პატარა მონაწილეები ჰყავს, ძალიან რთულია მათთან მუშაობა. მუსიკალურ სკოლაში მოგვივიდა მიწვევა სასომხეთიდან, გვიწვევდნენ საერთაშორისო ფესტივალზე, მაგრამ ფინანსების არქონის გამო ანსამბლმა წასვლა ვერ შეძლო. ვეფხია მშობელმა ვერ გადაიხდა თანხა. 2013 წელს ბორჯომში



გამართული ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალზე, ჩვენი ბავშვების შემოქმედებას რომ გაცეცხენ, ანტილაში მიგვიწვიეს, ისევე ფინანსური მხარის მოუწესრიგებლობის გამო ეს ვერ შეუძელით.

ფორმებით დაწვებული, ვეფხია გასვლითი კონცერტის ხარჯებს მშობლები ანაზღაურებენ. ანსამბლის “ჩანგი” ფორმებს დინამიური მანია ვაშაქიძე ქმნის. ბავშვები გაიზარდნენ, ფორმები დაუპატარავდათ, ანსამბლ “ჩანგს” მერი თაობაც ჰყავს და მათთვის უნდა შევიძინოთ ფორმები”. – გვეუბნება ქალბატონი მერი.

მერი ტკეციციანი და მისმა მეუღლემ, იმედა გვეგვიძემ ერთმანეთი მუსიკალურ საღამოზე გაიცენეს. ლევან ნუცუბიძის ანსამბლის კონცერტზე დასწირად აღმანი, რომელიც საღამოურზე და ფანდურზე დაუკრავდა, ასე აღმოჩნდა მერი კონცერტზე, მერი და იმედა ხელოვნებამ დაახლოვა ერთმანეთს, რამდენიმე თვეში მუსიკალური ოჯახიც შექმნეს.

“ძალიან გავუგებ ერთმანეთს, ის ძალიან მეხმარება და ხელს მიწყოფს, ახალ წელს რომ ოჯახიდან ქალი გადმოვა და მეუღლე ამას მშვიდად შეხვდება, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. მყავს 6 წლის აუთ-

ანდლი და 3 წლის გვანცა. დედამთილი და მამამთილი ძალიან მეხმარებიან, რომ არა ისინი, მართლა ვერ ვიქნებოდი იმ საფეხურზე, სადაც ვარ. მადლობა უფალოს, რომ შემხვედრა ასეთი თბილი მეუღლე, ხელოვანი, რომ ჩემს წარმატებებს ხელს უწყობს, ვეფხია ნაწარმოების არანფორების დროს ის რჩევებს მაძლევს. ის კარგად ფლობს ხალხურ ფანდურს, კლასიკურ ფანდურს, ბას-ფანდურს, გარბონს, შესანიშნავად უკრავს გიტარაზე, ფორტეპიანოზე, მიუხედავად იმისა, ის იურისტია, სისხლის სამართლის სპეციალისტი, ხელოვნებას დაუკავშირა ბედი. იმედა ანსამბლ “იმერში” მუშაობს”. – გვეუბნება მერი.

“ჩემი სპეციალობა საოცრად მიყვარს, მამა რომ გარდაემეცვალა, 1 კვირა არ იყო გასული, ხელში ინსტრუმენტი ავიღე და დავეკარო, არ შემოძლია სიმღერის გარეშე, ეს არის ჩემი სული, ჩემი გული და მთელი სამყარო. ფანდურის გარეშე არ შემოძლია, მუსიკა მრავალფეროვანია, მაგრამ კონცერტულად ფანდურის და სიმღერის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოვიდგენია”.

შეიღებს შესანიშნავი სმენა აქვთ, დედას სურს, მუსიკის სამყაროსთან ისინიც ძალიან ახლოს იყვნენ.

1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია. რევოლუცია, რომელმაც არა მარტო დემოკრატია ჩაუყარა საფუძველი, არამედ ეროვნულ თვითშეგნებასაც. პარიზელი, მარსელელი, ბორდოელი თუ ორლეანელი უკვე ყველა ერთი ერისა და ქვეყნის შვილად აღიქვამდა თავს. შემდეგ ორი საუკუნე ნაციონალური გრძობების ფართო გავრცელებას ეთმობა, ჯერ ევროპაში, შემდეგ კი ლათინურ ამერიკასა და აფრიკა-აზიაში. უკანასკნელთა ნაციონალიზმი მიმართული იყო კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ანუ იმ ვრცელი ევროპული ტერიტორიების დაშლისაკენ, რომელიც ამ სამ კონტინენტზე არსებობდა. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში სწორედ ეროვნულმა მოძრაობებმა მიგვიყვანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდამდე. ეროვნული მოძრაობები კი ვრცელდებოდა, მაგრამ პარალელურად იზრდებოდა საერთაშორისო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის დონეც. ყოველი წელი, ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით, ხასიათდებოდა უფრო მეტი გლობალიზაციით, ვიდრე წინა წლები და გლობალიზაციამ მასშტაბური ხასიათი მიიღო XXI საუკუნეში. ერებმა და ეთნოსებმა გაიცინეს ერთმანეთის კულტურები, ათევისეს და ერთმანეთზე დამოკიდებულნი გახდნენ, თითქოს ნაციონალიზმი და ეროვნულობა უკანა პლანზე გადავიდა, მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე. თანამედროვე ეპოქაშიც ნაციონალიზმის გამოვლინება აშკარაა და ხშირად ეს გამოვლინება უკიდურეს ფორმასაც კი იღებს, რაც გარკვეულ ერებსა და ეთნოსებს ამორებს ერთმანეთისგან.

ნაციონალიზმის წარმოშობის მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს და თითოეულ ეთნოსთან თუ ერთ-ერთ ზოგადი დეფინიციაც კი ვერ მოვიშველიოთ. პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ ერის განმარტებით. ერის ცალსახა და ზოგადი დეფინიციაც არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ერი შეიძლება განმარტოს ორი კუთხით – პოლიტიკური და ეთნიკური. “პოლიტიკური ერი” რთული არაა განსამარტად. ამ კუთხით ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქე ან მისი მცხოვრები ამ სახელმწიფოს ერის ნაწილია. შედარებით რთულია ერის, როგორც ეთნიკურის განმარტება. ენა, ტერიტორია, ეკონომიკური წყობა და კულტურაში გამოხატული ფსიქიკური წყობა ნამდვილად არის კრიტერიუმები, მაგრამ ამ კრიტერიუმებს შედარებით დაბალი ეთნოსოციალური ჯგუფი, ტომიც კი აკმაყოფილებს, ანუ არის კიდევ რაღაც კრიტერიუმი, რაც ერსა და მასზე დაბალ ეთნოსოციალურ ჯგუფებს ანსხვავებს ერთმანეთისგან.

შეიძლება დავამატოთ ის ემოციური “კრიტერიუმები”, რაც დასავლელმა პოეტებმა თუ მწერლებმა თქვეს ერთან დაკავშირებით. მათი აზრით, ერი საერთო ისტორიული წარსულია, საერთო ნება აწმყოში, მოქმედების საერთო სურვილი და გეგმა მომავალში. ამას დავუმატოთ ვებერის მოსაზრება. მისმა განსაზღვრებამ ფაქტობრივად “დაამორა” და გამოაცალკევა ერთმანეთისგან ერი და ეთნოსი. ერი მაშინ ყალიბდება, როცა ის აცნობიერებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას და იბრძოლებს მისი შექმნისთვის. ამ შემთხვევაში ქურთები შეიძლება ერად მივიჩნიოთ, ხოლო, მაგალითად, ჩუქჩები – არა. ისიც გა-

სათვალისწინებელია, რომ თავისთავად ერის არსებობა არ ნიშნავს ნაციონალიზმის დაწყებას. მაგალითად, ესპანეთის ბასკებში არის ნაციონალიზმი გაღვივებული, ხოლო საფრანგეთის ბასკებში – არა. ესპანეთის ბასკების ნაციონალისტური გრძობები XIX საუკუნეში, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში იღებს სათავეს და უფრო ეკონომიკურ ხასიათს ატარებს, ხოლო უშუალოდ ნაციონალისტური მოძრაობის კატალიზატორი კი ფრანკოს რეჟიმის დროს დამყარებული პირდაპირი მმართველობა და ავტონომიურობის გაუქმება იყო. საფრანგეთის ბასკეთში ბასკებს თვითმმართველობის მინიმალური დონეც კი არ ჰქონდათ, ამის გამო, რომ ამ ბასკებმა “არ იცნა” თავისუფლება. ეკონომიკური ნაციონალიზმი, რა თქმა უნდა, ნაციონალიზმის ერთ-ერთი სახეა, თუმცა, ის ნაკლებად დამახასიათებელია თანამედროვეობისთვის. ბასკების მსგავსი ეკონომიკური ნაციონალიზმი ახასიათებთ ბავარიელებს, ჩრდილოელ იტალიელებსა და შოტლანდიელებს.

თანამედროვე ნაციონალიზმი, რო-

გოლიტიკური ნაციონალიზმს. პირველი მთავანი ცალკეულ შემთხვევაში იღებს ეთნიკური მილიტარიზმის ფორმას და შესაძლოა, ეთნიკურ წმენდამდეც კი მივიდეს, რისი კარგი მაგალითი 90-იანი წლების დასაწყისი იუგოსლავიაა. როგორც წესი, ნაციონალიზმი არარელიგიური, სეკულარული მოვლენაა. თუმცა, დღეს რელიგია და ნაციონალიზმი გადაეჯაჭვა ერთმანეთს და ბევრი მკვლევარის აზრით ეს მოდერნიზმის პროდუქტია. რელიგიური ნაციონალიზმის მაგალითებად შიიტური ირანის, ან თუნდაც 90-იანი წლების საქართველოს მოყვანა შეგვიძლია, სადაც ნაციონალიზმი და რელიგია მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულმა მოძრაობამ წარმატებას მიაღწია და მოიპოვა დამოუკიდებლობა, მისი შემდგომი მდგომარეობაც დამოკიდებული იქნება წარსულზე. უკიდურესმა ნაციონალიზმმა შეიძლება ქვეყანა ქსენოფობიასა და კარჩაგბეტილობამდე მიიყვანოს, არათუ მსოფლიო ინტეგრაციასა და დიპლომატიკურ ურთიერთობას. ნაციონალიზმი იტალიურად გამოიხატება, ძირითადად, ის-

მიუხედავად სახელმწიფოს როლის ზრდისა პოლიტიკაში სახელმწიფო უფრო და უფრო ნაკლებად ერევა ეკონომიკაში. გლობალიზაციის ცნება თავდაპირველად ეკონომიკური არის მატარებელი იყო. ეკონომიკურმა გლობალიზაციამ აბსოლუტურად ყველა სფერო მოიცვა საერთაშორისო ფინანსებიდან დაწყებული, ბავშვთა შრომით დამთავრებული. ეკონომიკის კუთხით თუ ემსჯელებთ, როგორი კარჩაგბეტილიც არ უნდა იყოს “ახალი” სახელმწიფო, ის მაინც ვერ გაექცევა მსოფლიო სავაჭრო თუ სხვა ეკონომიკურ გლობალიზმს. “ახალი სახელმწიფოები მაქსიმალურად ზრუნავენ ეროვნული ეკონომიკის გაძლიერებაზე, ავითარებენ მას. ეს კი ბუნებრივად, ერის სურვილის მიუხედავად, მაინც ჩართავს ამ სახელმწიფოს მსოფლიო ბაზარში.

ყველა ანტიგლობალიზტი გლობალიზაციის უარყოფით მხარედ კულტურას მიიჩნევს. საუკუნეების განმავლობაში ერები სწორედ საკუთარი კულტურის დაცვისთვის იბრძოდნენ, რადგან სამართლიანად მიაჩნდათ სინონიმებად კულტურა და

რომეოვან დემოკრატია, როგორც ეს საფრანგეთის რევოლუციის დროს მოხდა. ხოლო დემოკრატიული მშვიდობის თეორიის თანახმად, დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობებს ამყარებენ და არ ებრძვიან ერთმანეთს, რაც ზრდის ინტეგრაციის დონეს. ასეთი სახის ნაციონალიზმი, რა თქმა უნდა, შესანიშნავია, მაგრამ იშვიათი. თანამედროვე ნაციონალიზმი, ძირითადად, დესტრუქციული სახისაა, რომელიც გლობალიზაციას პირდაპირ ებრძვის. მიიჩნევს მას ეროვნულობის დამანგრეველად და ვერ ხედავს მის დადებით მხარეებს, რომელთა გამოყენება ისევ საკუთარი ერის გაძლიერება-აყვავებას მოხმარდება.

საფრანგეთის რევოლუცია ნაციონალიზმის დასაბამად შეიძლება ჩაითვალოს. მას შემდეგ ნაციონალიზმმა მრავალი გზა განვლო. გლობალიზაცია კი სხვადასხვა მოსაზრებების თანახმად შეიძლება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პროცესად ჩაითვალოს. ნაციონალიზმის ახალი ტალღის აგორება სწორედ გლობალიზაციის დამსახურებაა. დანერგვითა საერთაშორისო პრინციპებად ერთა

# თანამედროვე ნაციონალიზმი აიყვანეს გლობალიზაციას

თვითგამორკვევის შესახებ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჰპოვა ასახვა, მაგრამ საინფორმაციო გლობალიზაციამ და ამ პრინციპების ფართოდ გავრცელებამ სურვილი გაუჩინა ერებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნისა. მათი ამ სურვილისა და ქმედების იურიდიულ გამართლებას სწორედ ერთა თვითგამორკვევით

აკეთებდნენ. თუმცა, ხშირად მათი ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება საერთაშორისო სისტემას კიდევ უფრო თავდაყირა დააყენებდა, ამიტომ მსოფლიო ხშირად უარს ამბობდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის დაცვას და ზოგი ერი დამოუკიდებლობას ვერ იღებდა, რაც შემდეგ ხასიათდებოდა დესტრუქციული ნაციონალიზმით. დესტრუქციული ნაციონალიზმი კი რადიკალური ქმედების გამოყენებაა. სწორედ ამ რადიკალიზმის შედეგია იზოლაცია და დეზინტეგრაცია. მეორე მხრივ, არსებობს ნაციონალიზმის ის იშვიათი შემთხვევა, როცა ნაციონალიზმი და დემოკრატია ეჯაჭვება ერთმანეთს და ეროვნული მოძრაობა ლიბერალურია, შედეგად – უფრო ინტეგრირებული მსოფლიოში. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მსოფლიო დღას დილექტის წინაშე: მისცეს დამოუკიდებლობის მსურველ ყველა ეთნოსს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, აირიდოს გენოციდები და მსგავსი რადიკალური ქმედება სამაგიეროდ, იცხოვროს “გიჟური” მსოფლიოში, სადაც ოთხი ათასამდე ქვეყანა იქნება, ან დაიცვას მეორე, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი, არ მისცეს ეროვნულ მოძრაობებს საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებები რადიკალიზაცია და შედეგად გამოიწვიოს დეზინტეგრაცია და დესტაბილიზაცია რეგიონში. ამ უკანასკნელის ტენდენცია იყვითება, რის საფუძველზეც სამართლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალში რადიკალიზებული ნაციონალისტური მოძრაობები შეაფერხებენ მსოფლიო ინტეგრაციას.

მელიც, ძირითადად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებსა და აზია-აფრიკაშია, დაკავშირებულია კოლონიალურ წარსულთან. ხოლო ის სტიმული, რაც ეთნოსებს უბიძგებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ, ერთა თვითგამორკვევის პრინციპია. ცხადია, მსოფლიო არ დაუშვებს ამ პრინციპის ფართოდ გავრცელებას, რადგან, პირველ რიგში, ის დაარღვევს მსოფლიო ძალთა ბალანსს, ხოლო მეორე რიგში, მეორე საერთაშორისო პრინციპს ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. მაგალითად, როდესაც საბჭოთა კავშირში ფართოდ გაიშალა ეროვნული მოძრაობა დასავლეთი მაქსიმალურად ცდილობდა, მხარი არ დაეჭირა მისთვის. საბჭოთა კავშირის საბოლოო დამხობის შემდეგ, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაგლას ჰერიმ იმედი გამოთქვა, რომ ახალი სახელმწიფოების შექმნას აღარ იხილავდნენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მსოფლიო მაინც ვერ აკავებს ეროვნულ გამოვლენებს, რომლებიც ხშირად ეთნოკომპლექსებამდე მიდის. თანამედროვე ნაციონალიზმი, როგორც ვთქვი, პოსტკომუნისტურ ქვეყნებსა და აზია-აფრიკაში ვრცელდება და ისტორიულ-პოლიტიკურ სახეს იღებს. აზია-აფრიკის ეროვნული გამოვლენები, როგორც ინგლისელი ისტორიკოსი ჰ. სეტონ-ვალსონი თვლის, გამოწვეულია დაუკმაყოფილებლობისა და უკმაყოფილების გრძობით, რომელიც ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს და ასეთი გამოვლენები ვარიანტებს ავტონომიის მომხრეობიდან უკიდურეს სეპარატიზმამდე. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რაც უფრო უკმაყოფილოა ეროვნული უმცირესობა ეროვნული უმრავლესობის წარსული ქმედებებით, მით უფრო რადიკალურია უმცირესობის მოთხოვნები. პოსტკომუნისტური და აზია-აფრიკული ნაციონალისტური მოძრაობა შეგვიძლია მივაუთვნოთ რადიკალურ ეთნიკურ და რადიკალურ

ერთ ქვეყნებს ახასიათებს, რომლებიც მხოლოდ ერთი ეთნოსისგან არ შედგებიან და ამ ეთნოსებს წარსულში ან აწმყოში კარგი დამოკიდებულება არ ჰქონდათ, ან არ აქვთ. სახელმწიფოს გახლეჩვა უკიდურესი ფორმებით, რა თქმა უნდა, მსოფლიოსთვის მიუღებელი იქნება და მკვიდრებული პრინციპების რღვევის გამო, რაც ახალ ქვეყნებს იზოლაციაში აღმოაჩენს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის დაპირისპირებაში გამოიხატება, ანუ ეს არის წინააღმდეგობა სახელმწიფო ნაციონალიზმსა და უმცირესობის ნაციონალიზმს შორის.

რაც შეეხება გლობალიზაციას, როგორც ყველა მოვლენა, ისიც აშკარად არაა მხოლოდ დადებითი ან მხოლოდ უარყოფითი. რადგანაც ნაციონალიზმი გლობალიზაციის უარყოფითი მხარეებით “საზრდობს”, განვიხილოთ, რა აქვს გლობალიზაციას უარყოფითი, რა არ მოსწონს ნაციონალიზმს მისი. მსოფლიო მოსახლეობა შეიძლება დავყოთ გლობალიზტიკად, ანტიგლობალიზტიკად და “ნეიტრალისტებად”. ანტიგლობალიზტიკური განწყობა ძირითადად არადასავლური ქვეყნების მოსახლეობაში იგრძნობა, სადაც გლობალიზაცია ვესტერნიზაციად მიაჩნიათ. ზოგადი გადმოსახვიდან, ანტიგლობალიზტიკის მტკიცედ სწამთ, რომ ერი სახელმწიფოს როლი გაიზარდა, რაც კიდევ ერთხელ უარყოფს გლობალიზაციის ფაქტს. ერები გლობალიზაციის ეპოქაში რჩებიან მსოფლიო წესრიგის ერთადერთ, რეალურ საყრდენად. ერები იმდენად არიან მიბმულნი თავიანთ ისტორიულ ძირებთან, რომ ვერავითარი გლობალური კულტურა მას ვერ შეცვლის, ხოლო ერი-სახელმწიფოები კვლავაც დარჩებიან პოლიტიკური ერთობის მთავარ ფორმად. თუმცა, ანტიგლობალიზტიკებიც კი აღიარებენ, რომ

ეროვნული თვითმყოფადობა. ამდენად, ეროვნება და ეროვნული კულტურა თითქმის გაიგივებული ცნებებად აღიქმებოდა და პიროვნება მამინ ითვლებოდა გარკვეული ეროვნების წარმომადგენლად, როცა ამავე ეროვნული კულტურის მატარებელი იყო. დღეს კი ეს, თითქოს და ხელშეუხებელი სფეროც, უფსკრულის წინაშე დგას და გლობალიზაციას უნდა, ამ უფსკრულში ყველა კულტურა აითქიფოს, რათა შემდგომ ყველგან ერთი ზეეროვნული მასობრივი კულტურა გავრცელდეს. რადგანაც კულტურა და ეროვნულობა ზოგს ერთი და იგივედ მიაჩნია, კულტურის გლობალიზაციით ისინი თითქოს ეროვნულ თვითშეგნებასაც დაკარგავენ და ათქიფდებიან გლობალურ ეროვნებაში. სწორედ ამის შედეგია 1994 წლის მექსიკის, 1999 წლის სიეტლის, 2001 წლის გენუის ანტიგლობალიზტიკა გამოვლენები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ კულტურულ იმპერიალიზმს, როგორც ამერიკის ექსპანსიას. სეპარტიკოსები ამ მოსაზრებასაც ჰყავს. მათ მიაჩნიათ, გლობალიზაცია არა ერთი კულტურის შექმნას, არამედ კულტურათა გაცნობას უწყობს ხელს, რაც საბოლოოდ მშვიდობამდე მიგვიყვანს. არადა, სწორედ კულტურებს შორის განსხვავება ხშირად კონფლიქტების მიზეზი. ზოგიერთის აზრით, კომუნიკაციების არსებობა პიროვნებაში მიიყვანა ხალხი ტრადიციული ღირებულებების რღვევამდე, რაც ხალხს ეთნიკურ გამორჩეულობაში აბრუნებს და ნაციონალიზმს აგრესიულ ხასიათს აძლევს. ამ მოსაზრებას შეგვიძლია დავუპირისპიროთ დემოკრატიული მშვიდობის თეორია. როდესაც ესა თუ ის ერი მოითხოვს დამოუკიდებლობას და მიადევს საკუთარ მიზანს, შემდეგი უმთავრესი მიზანი და, რა თქმა უნდა, სურვილიც, საკუთარი თავის თვითონვე მართვაა. ამ სურვილის უკიდურესი ფორმა დემოკრატიაა. შედეგად, ნაციონალიზმმა შეიძლება წა-

თვითგამორკვევის შესახებ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჰპოვა ასახვა, მაგრამ საინფორმაციო გლობალიზაციამ და ამ პრინციპების ფართოდ გავრცელებამ სურვილი გაუჩინა ერებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნისა. მათი ამ სურვილისა და ქმედების იურიდიულ გამართლებას სწორედ ერთა თვითგამორკვევით აკეთებდნენ. თუმცა, ხშირად მათი ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება საერთაშორისო სისტემას კიდევ უფრო თავდაყირა დააყენებდა, ამიტომ მსოფლიო ხშირად უარს ამბობდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის დაცვას და ზოგი ერი დამოუკიდებლობას ვერ იღებდა, რაც შემდეგ ხასიათდებოდა დესტრუქციული ნაციონალიზმით. დესტრუქციული ნაციონალიზმი კი რადიკალური ქმედების გამოყენებაა. სწორედ ამ რადიკალიზმის შედეგია იზოლაცია და დეზინტეგრაცია. მეორე მხრივ, არსებობს ნაციონალიზმის ის იშვიათი შემთხვევა, როცა ნაციონალიზმი და დემოკრატია ეჯაჭვება ერთმანეთს და ეროვნული მოძრაობა ლიბერალურია, შედეგად – უფრო ინტეგრირებული მსოფლიოში. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მსოფლიო დღას დილექტის წინაშე: მისცეს დამოუკიდებლობის მსურველ ყველა ეთნოსს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, აირიდოს გენოციდები და მსგავსი რადიკალური ქმედება სამაგიეროდ, იცხოვროს “გიჟური” მსოფლიოში, სადაც ოთხი ათასამდე ქვეყანა იქნება, ან დაიცვას მეორე, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი, არ მისცეს ეროვნულ მოძრაობებს საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებები რადიკალიზაცია და შედეგად გამოიწვიოს დეზინტეგრაცია და დესტაბილიზაცია რეგიონში. ამ უკანასკნელის ტენდენცია იყვითება, რის საფუძველზეც სამართლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალში რადიკალიზებული ნაციონალისტური მოძრაობები შეაფერხებენ მსოფლიო ინტეგრაციას.

**საქართველოში  
ხელისუფლების  
თვითგამორკვევის  
პრინციპების  
მიმართულებით  
მე-2 კურსის სტუდენტები**

### ივეჩი ჯელაიძე და დემუხ მეგენიშვილი ბაქოს საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონები

16-18 იანვარს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა მუშვიდ ისაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ტურნირში 7 ქვეყნის: აზერბაიჯანის, თურქეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ირანის, სასომხეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები ღებულობდნენ მონაწილეობას.

საქართველოს ნაკრებიდან სამტრედიელმა 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ივერი ჯულაყიძემ, ხოლო 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში დემურ მეგენიშვილმა წარმატებით იასპარეზეს.

თითოეულმა მათგანმა ოთხ-ოთხი შეხვედრა მოიგო და ტურნირის ჩემპიონებიც გახდნენ. აღნიშნული ტურნირის შესახებ კომენტარი გამარჯვებული ფალაგენების მწვრთნელს, ვეფხია სტურუას ვთხოვეთ:

“ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირი, თითოეული გამარჯვებული სოლიდური თანხითაც დაჯილდოვდა, რამაც შეჯიბრში მონაწილეთა ინტერესი ტურნირისადმი განსაკუთრებულად გაზარდა, ვგელა ქვეყანამ სასპარეზოდ უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა.

აღსანიშნავია, რომ ბიჭების ეს გამარჯვება მათი და მწვრთნელების ერთობლივი, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. ისინი არაერთი მნიშვნელოვანი ტურნირის გამარჯვებულნი არიან, მინდა ეს წარმატება მიეულოცო ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ “ფალაგენს” (დირექტორი ირაკლი მელაშვილი), გამარჯვებული სპორტსმენების ოჯახებს და ჭიდაობის ვგელა გულშემოტიკივარს.

“სამტრედიის მაცნეს” ფურცლებზე არაერთგზის გაგვიშუქებია თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მწვრთნელ-მასწავლებლების, ვეფხია და ლაშა სტურუების მოსწავლეთა წარმატებები, ვუსურვებთ პედაგოგებს, მათი აღზრდილების მიღწევებით კიდევ მრავალგზის ეამაყოთ.

ივერი ჯულაყიძე: “შეამაყება და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის გამარჯვებულები გავხდით, პირადად მე ასპარეზობა მომიწია რუს, ყაზახ და თურქ სპორტსმენებთან, ფინალში კი აზერბაიჯანის წარმომადგენელი დავჯაბზე. მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს მწვრთნელებს ვეფხია და ლაშა სტურუებს. ჩემი ეს გამარჯვება მათი უდიდესი შრომის შედეგია”.

დემურ მეგენიშვილი: “პირადად მე მომიწია ასპარეზობა რუსეთის, თურქეთისა და სასომხეთის წარმომადგენლებთან, ფინალურ შეხვედრაში აზერბაიჯანელი დავამარცხე. მინდა გაცუელი შრომის გამო მადლობა ვუთხრა ჩემს მწვრთნელებს, ვეფხია და ლაშა სტურუებს. ვეცდები, მომავალში კიდევ არაერთი გამარჯვებით გავახარო სამტრედიელი გულშემოტიკივარი”.

ნათა კახავა



### გიორგი ზაქარაიძე საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი

გიორგი ზაქარაიძე პრიზიორი გახდა. მან ბრინჯაოს მედალი ქალაქ ალმა-ატაში ჩატარებულ ფაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის სახელობის ა კატეგორიის ტურნირზე მოიპოვა.

23 და 26 იანვარს გიორგი ზაქარაიძე საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად ზემოაღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობას ღებულობდა. იგი მძიმე წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. პირველ ეტაპზე გიორგიმ თურქი სამბისტი დაამარცხა, ხოლო მეორე ეტაპზე – გერმანელი. მესამე ასპარეზობაში ზაქარაიძე ამარცხებს ყაზახ სამბისტს, რომლის შემდგომაც ქართველ სპორტსმენს მე-4, ფინალში გასასვლელი შეხვედრა ელოდა. გიორგი ზაქარაიძემ მინიმალური უპირატესობით დათმო ორთაბრძოლა და მესამე საბრძოლო ადგილს დასჯერდა.

“სამტრედიის მაცნემ” ყაზახეთის ტურნირთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა გიორგი ზაქარაიძის მთავარ მწვრთნელს, ავთანდილ თარგამაძეს.

“კმაყოფილი ვარ გიორგი ზაქარაიძის წარმატებით. თუმცა, მისი შესაძლებლობების ზღვარი გაცილებით მეტია. აქედან გამომდინარე, მომავალი ასპარეზობებიდან, მჯერა, სამტრედიელი ფალაგენი პირველობას არავის დაუთმობს. ამისთვის დიდი ხნის ლოდინი არ მოგვიწევს. მომდევნო საკვალითეიკაციო ეტაპი ბელორუსის დედაქალაქ მინსკში სულ რაღაც ორ კვირაში ჩატარდება, სადაც გიორგი ზაქარაიძე საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავს”.

გიორგი ზაქარაიძე სამტრედიის სპორტულ კლუბ “ფალაგენის” აღზრდილია. მას 10 წელიდან ვზრთინდნენ ისეთი ტიტულოვანი მწვრთნელები, როგორებიც არიან ავთანდილ თარგამაძე და ბადრი შენგელია.

ნათა კახავა



## ბორის პაიჭაძე – 100

1975 წელს რეჟისორი ნანა მჭედლიძე ქართული ფეხბურთის “პიონერების” შესახებ ფილმს იღებდა. სცენარის მიხედვით ვგელაფერი სხვაგვარად იყო ჩაფიქრებული, თუმცა, ბორის პაიჭაძის ჩარევით შემდეგ სურათის ძირითადი არსი აბსოლუტურად შეიცვალა. “იასონის” პერსონაჟით ახალგაზრდა პაიჭაძის თავგადასავალი და ის წლები გაცოცხლდა, როცა ფოთში მცხოვრები მეზღვაური ბიჭის მომავალი გაუთვალისწინებელი ფაქტით ფეხბურთის დაუკავშირდა.



სახლგო სკოლის დასრულების შემდეგ, გემზე მთავარი მექანიკოსის თანაშემწედ მუშაობა ახლო მომავალში კაპიტანობის იმედსაც აძლევდა ბორის პაიჭაძეს. ცოლიანებისა და უცოლოების, გურულ-მეგრელების საფეხბურთო პაექრობა უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, როცა საქმე საქართველოს პირველობაზე მიდგა. ბათუმელთა მეტოქე ფოთელებმა შეთხზული დეპეშით სახელმწიფო მითამაშეს, აწ უკვე ზღვ-

აოსან პაიჭაძეს უხმეს: “დელაშენი მძიმეაა, სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდეო”. შვილმა უმაღ მიათხზა დედას, ოჯახის წევრებს შეეშინდათ, ასე მოულოდნელად რატომ დაბრუნდაო?.. მოგვიანებით კი ვგელაფერში გაერვნენ.

ის თამაში კოლხების გამარჯვებითა და ბორის პაიჭაძის გუნდში დარჩენით დასრულდა. “პირველი მერცხალი” კი მაყურებელთა საყვარელ ფილმად იქცა.

მწვანე მოედანზე თავდამსხმელის ამპლუაში მყოფი, ცხოვრებაში მუდამ მოკრძალებული, თავმდაბალი, უპრეტენზიო ყოფილა თბილისის “დინამოს” პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მართალია, მისი თამაშის ხილვით განებივრებულნი დღეს ჩვენს შორის მრავლად აღარ არიან, მაგრამ მანაც ვგელა აღიარებს მის ტალანტსა და ნიჭს.

სპორტის ქომაგებისთვის არაერთი დასამახსოვრებელი კომბინაციის ავტორი, წამყვანი მოთამაშე, ხოლო რიგითი მოქალაქეებისთვის საქმისთვის თავდადებული, პროფესიონალი სპორტსმენი – ასეთია მისი მოკლე დახასიათება.

ხალხის სიყვარული ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ აკლდა ბორის პაიჭაძეს. გამუდმებული ტრავმებით, იძულებითი შესვენებით შეწუხებული ბურთის

ვადოქარი 1950 წელს, 35 წლის ასაკში გამოემშვიდობა ფეხბურთელის კარიერას, მას შემდეგ ის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობას იკავებდა, ორი წლის განმავლობაში კი თბილისის “დინამოს” ვზრთინდა.

“საფეხბურთო მატჩის ყურებისას, მასში მიეღი ემოციით იყო შეჭრილი, თან კომენტარებს აკეთებდა, ხმამაღლა გულშემოტიკივრობდა და მათთან ერთად “თამაშობდა”... რითაც შეეძლო, სხვებს ეხმარებოდა, საკუთარი თავისთვის კი არასოდეს არაფერს ითხოვდა”. – იგონებს ბაბუის შესახებ ბორის პაიჭაძე (უმცროსი).

უკურნებელმა სენმაც ვერ შეუცვალა თბილი და მოსიყვარულე ბუნება. მხოლოდ ბოლო თვეების მანძილზე “ჩაიფერებდა” მუხლჩაუდგმელად მშრომელი, თავდაუზოგავი ბორის პაიჭაძე.

გასული საუკუნის საეზიბო ბარათად ქცეულ, სატირულ-იუმორისტულ გამოცემას “ნანაგი”, მრავალგზის გამოუქვეყნებია ამა თუ იმ ავტორთა შესრულებული, ვეტერანი ფეხბურთელის მეგო-

ბრული შარტები და მისადმი მიძღვნილი კალც-ლექსები. უცნობი ავტორის შეთხზულ ერთ-ერთ ასეთ ვარიანტს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ:

“ღირსო დაფნის და ამბორის, შენს საღვთობისთვის ვსვამ ბორის! შენზე შეიქმნა მითების და ლეგენდების მთა-გორი! იფაგი უკვდავ გოლების გენიალური ავტორი, ბურთის ექს-მეფე, მოედნის ექსტრა-ექს ბატონ-პატრონი! შენ, დიდოსტატი ფეხბურთის, სწორ-უპოვარი სოლისტი, დარჩები ნომრად, ნიშნად ჩვენი ფეხბურთის სკოლისთვის!”

ბორის პაიჭაძე 1990 წლის 9 ოქტომბერს, 75 წლისა გარდაიცვალა. 1995 წელს მისი სახელობის ეროვნულ სტადიონზე (ამჟამად “დინამო არენა”) ფეხბურთელის ბიუსტი გაიხსნა.

3 თებერვალს, ქართული საფეხბურთო სკოლის ღირსეული მედროშე 100 წლის განდებოდა.

ნათა კახავა

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს გიორგი ლეჟავას დის, ქალბატონი

ნანული ლეჟავას

გარდაცვალების გამო.

სს “საქართველოს რეინფანს” დასავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია სამძიმარს უცხადებს სამმართველოს უფროსს ბატონ ზურაბ გოგობიას სიძის

ბაზუპი ალშიბაიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ზურაბ გოგობიას, სიძის

ბაზუპი ალშიბაიას

გარდაცვალების გამო.

ნოდის საჯარო სკოლის დირექცია პედაგოგიური კოლექტივი, ტექნერსონალი, მოსწავლე-ახალგაზრდობა იუწყება

ანზორ ბაზას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ვია გაგუასა და თამილა გაგუას შვილისა და შვილიშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი

ჰენერა ქუთათილაკა-აპალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ლენა ირემამესა და მის ოჯახს ბატონი

ილარ გივარამიშვილის

გარდაცვალების გამო.

### გიორგი (გორგი) ბახტაძე

კიდევ ერთი ინტელიგენტი, კოლორიტი დააკლდა სამტრედიას. გარდაიცვალა ბატონი გოგი ბახტაძე, უნარიანი ხელმძღვანელი, უღალატო მეგობარი, ნაღი სამტრედიელი კაცი, რომელსაც მოყვასის სიყვარულით უკვამდა გული.

ისტორიის კუთვნილებაა ამერიიდან მისი გვარ-სახელი, რაიონის ისტორია კი მას სამუდამოდ მიუჩენს ადგილს ღირსეულ სამტრედიელთა შორის.

ნათელში იფაგი, ჩვენო გოგი!

საზოგადოებრივ “სამტრედიის” დაფუძნებლები: თამაზ ჟორანი, თამაზ მუხლავა, ვია გოგობიანი, გურამი ჭანჭიანი, თამაზ ტყეშელაშვილი, ნურზარ ხაბაიანი

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია ქალბატონ ცირა კრავიშვილს და მის ოჯახს თანაუგრძნობს ბატონი

გორგი ბახტაძის

გარდაცვალების გამო.



### ნონა კვამარია ბახტაძე

ერთად განვლო ჩვენმა ბავშვობამ და მოსწავლეობის ხანა. თითქოს ვგელაფერს ჩქარობდი. ოჯახი დრე შექმნი, ამყოფი ღირსეული შეილებით და შეილიშვილებით.

შენთან ერთად შენი ახლობლები, ოჯახი, ერთადერთი დაც ებრძოდა შენს სიკვდილს, მაგრამ...

6 იანვარს უკანასკნელ გზაზე მიმავალს ალალი ცრემლი და ყვაილების ზღვა მიგაცილებდა გულმოდგინე ახლობლებთან ერთად.

მშვიდად იძინე შენს საყვარელ მშობლებთან, ჩვენო დაუვიწყარო ნონა.

ლევან ბახტაძე

# მეფე ოთარი – King Otar

**ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, რამაზ ჩხეკაძისა და მრავალი სხვა სახელოვნო ქართველის გვერდით, უკვდავების საუფლოში ოთარ მეღვინეთუხუცესმა დაიღო ბინა. 2015 წლის 18 იანვარს, მსახიობის დაბადების დღეზე, თბილისში, 9 აპრილის ბაღში საქართველოს სახალხო არტისტის ძეგლი გაიხსნა, რომლის ავტორი ლევან ვარდოსანიძეა.**



ზამთრის სუსხიან ამინდში ნელ-ნელა ივრებიოდნენ მსახიობის ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები და ისინი, ვისაც უბრალოდ უყვარდა მისი "ოტელი" თუ "ოიდიპოს მეფე", "უჯუშ ემზა" თუ "კრეონტი"...

თეთრი ნაჭერი ფარავდა კვარცხლბეკზე შემართული გენიოსის ქანდაკებას. გარშემო მყოფნი მოუთმენლად ელოდნენ ძეგლის ხილვას, მაგრამ მანამდე სასცენო ხელოვნების გამორჩეული ოსტატისადმი მიძღვნილ ამადლებულ ეპითეტებსა და მოგონებებს ისმენდნენ.

დამსწრეთა შორის ქალაქ თბილისის მერი დავით ნარმანია, კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილიც იყვნენ. მათ სიტყვით მიმართეს შეკრებილთ და სიამაყით მოიგონეს ოთარ მეღვინეთუხუცესის პიროვნება.

– მაშინ, როდესაც ბატონი ოთარის სახელობის მემორიალური დაფა გავსენით, პირობა დავდეო, რომ 83 წლის იუბილზე 9 აპრილის ბაღს მსახიობის ძეგლი დაამშვენებდა და ამით პატივს მივაგებდით მის უკვდავ სახელს, დანაბრები შევასრულეთ კიდევც. ოთარ მეღვინეთუხუცესის სახელი შთამომავლობას დარჩება, როგორც ნათელი მაგალითი ჭეშმარიტი ხელოვანისა, ღირსეული ქართველისა და სამაგალითო მოქალაქისა. თითოეული ჩვენგანის ვალია, მორძალეული წვლილი შევიტანოთ მისი



სახელის უკვდავოებაში. დაე, დღეიდან ჩვენი შეილები მოვიყვანოთ ამ ადგილზე და მოვეუყვებოთ მისი ღვაწლის შესახებ. – აღნიშნა ძეგლის გახსნისას დავით ნარმანიამ.

რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ სიამოვნებით მოიგონა ბატონი ოთარის თანამშრომლობის წლები და განაცხადა, რომ მისი ნათება დიდხანს გასტანს, იგი ქართული თეატრის ისტორიაში ჩაიწერება, როგორც მეფე ოთარი – King Otar.

ცერემონიალს ასევე ესწრებოდნენ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები: ქეთევან ციხრაძე, ლანა ლოლობერიძე, ელდარ შენგელაია, თამარ სხირტლაძე, ნოდარ მაგლობლიშვილი, მალხაზ ბე-

ბურიშვილი, გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე, ლევან წულაძე, გურამ ჯაში, ომარ მხეიძე, ქეთი დოლიძე, გონა კაპანაძე, დავით ოქიტაშვილი, ნიკოლოზ წულუკიძე...

საუბრისას ცრემლებს ვერ იკავებდა გურანდა გაბუნია, ათეული წლები, რომელიც მან მეუღლესთან ერთად გაატარა, ფიქრებდა იმდღეობდა მის მესხიერებაში. ქალბატონი გურანდა მადლიერების, მონატრების გრძობით განმსჭვალული ჰყვებოდა ოთარ მეღვინეთუხუცესის ყოველდღიურობასა და სცენიურ ცხოვრებაზე.

საზოგადოებას ყურადღება ჯერ კიდევ საბურველმობეველი ძეგლისაკენ მიექცო. გამოჩნდა ბუმბერაზი არტიისტის ზეადმართული ხელები, განუმეორებელი სახის მიმიკა, ფიქრიანი თვალების სევდა და სანთლად ჩამოღვენილი სხეული. სრულქმნილი გახდა მონუმენტური სიცხადე, ხელახლა იშვა მაყურებელთა გულში მსახიობის "მეფე ლირი", მაგრამ...

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით გაგრცელებულმა ცნობამ კიდევ ერთხელ ცხადყო ჩვენს ერში გაშეფებული ადამიანური სისუსტეების, ნაკლოვანებების სიჭარბე. გვიან დამით ახლად გახსნილი ქანდაკება ბარბაროსულად დაზიანეს, კვარცხლბეკიდან მოხსნეს წარწერა "ოთარ მეღვინეთუხუცესი" და წინა დღით მიტანილი ყვავილები ირგვლივ მიმოვანტეს.

როდემდე? ნუთუ ქართველი კაცისთვის ჭკუის სასწავლებლად საემარისი არ აღმოჩნდა ჩვენს თავს მოწყული ავბედითობა? ალბათ, არა!

**შრის კაკავს**

**მურად მამჩრას!**

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო მურად! 70 წელი მართლაც რომ საიუბილეო თარიღია, მრავალს დაგასწროთ ღმერთმა. ვისურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ კეთილდღეობას, წარმატებებსა და მუდმივ წინსვლას!

**კახიძისგვამით თქვენი მხობრებო: ბრის ურცხვერავებო, თსაზ მისაძი, მირაზ სტარაზ, ვის ბრხოჩიბო, ათო რიბოვანი, ბრხოი ქაჯაჩიბო, თსაზ ბრვანი, სორო ახრბაძი, თსაზ მურაზოვა, სორო ღუნაზ, ბრხო ბრვან, თქვერ ბრჩინაძი, ვის ბრვანოვანი**

**გამუკა ახრბაძის!**

54-ე საბურველის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, პირველ რიგში, უკეთილშობილეს ადამიანს, საუკეთესო შვილს, დედამამიშვილს, ერთგულ მეგობარს და დასაყრდენ თანამშრომელს, უბრალოდ, ჩვენს უსაყვარლეს ახალგაზრდა კაცს, გულითადად გულოცავთ დაბადების დღეს, მრავალს დაასწროს უფალმა!

**უახლოესი მხობრებო**

ღანიის საჯარო სკოლის დირექტია და პედაგოგიური კოლექტივი გულოცავთ ამავე სკოლის პედაგოგს, მათა ბალაგაძეს შვილიშვილის შექმნას. სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს პატარა ანდრია!

**ღანიის საჯარო სკოლა**



თელაველმა ეკამ, მგონი, მთლად გარეკა, პატრულს აგინა და მის ბოსს დაურეკა.

ძითა

**ნახ. ე. ვინეიძეილისა**

– მოდუნდით, თვალები დახუჭეთ, ფეხები გაჭიმეთ. კარდიოგრაფია უნდა გადაგიღოთ.  
– ექიმო, თვალის დახუჭვა და ფეხის გაჭიმვა რომ არ მინდოდა, იმიტომ მოვედი თქვენთან.

**ბატონ ვალერიანე ურცხვერას!**  
დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს ვისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.  
**კახიძისგვამით "სამხრების გვინა"**

**ბატონ ვალერიანე ურცხვერას!**  
გილოცავთ დაბადების დღეს, იხარეთ და იღვგრძელეთ, გფარავდეთ უფალი.  
**რბის, ბრჩინისა და შვიარავბული ბალვის მხობრის რაიონული კამბიო**

**თირა ქითათილვაამ-კაკავას!**

ღვაწლმოსილ პედაგოგს, ძვირფას დედას და უსაყვარლეს ბებიას გულოცავთ დაბადების დღეს. 88 წლის შესრულებას ღვთის წყალობით კიდევ ბევრი წელი შემატებოდეს.  
**მხობრე და მხობრეხობრე**

**ნინო რაიჭვიშის!**  
დაბადების დღეს გილოცავთ უღამაზესო, მშენიერო ნინო! მშობლების იმედად მოვლენილს ბედნიერება, სიხარული, ჯანმრთელობა და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. სიღაღით სავსე, იავარდით მოჩითული ყოფილიყოს შენი ცხოვრების გზა. წმინდა ნინოს კალთა და მადლი გფარავდეს.  
**ღოღო ბრვანაძი, შრის კაკავს**

**რადამიის მისამართი:**  
**სამხრალინა, რისაუბლიკის ქ. №6**  
**ტელ: 790 391839**

**სამხრალინის**

დირექტორი ბეჟან გოგია  
მთავარი რედაქტორი ქითაძეან ჭილიძე  
გამომშვეები რედაქტორი თსაზ ბაბუნაშვილი  
პასუხისმგებელი მდივანი ლეჟან ბაბუნაშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა მბაპ კაკავას